

კაჟა ეტჳისელო

კოლხური  
ფსალმუნები

100-ტომეული



გამომცემლობა „ანკვარსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული  
100 ტომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

ტომი 49

2020



მთ. რედაქტორი

**რუსუღან ხორავა**

კომპოზიტორი, საქართველოს  
მწერალთა და მეცნიერებათა  
აკადემია „ქაღდგა-საქართვე-  
ლო“-ს აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბოროვსკაინის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-856-4 (49 ტომი)



\* \* \*

**ვაჟა ებრისელი** დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღექანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაჰვილი“, ფილოტ ტიუტჩენის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალგუნავი“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძეგლია იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცენიერებათა აკადემიის ნამღვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალატიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოს მფლისა და „დიოკურია 2005“-ის, მწვიდრობის ოქროს პარსკვლავისა და მწვიდრობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზიდი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეშვილების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზიდენტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეში. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბრუნდა დასაბეჭდად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, აბრეთვე, პრეზიდენტის მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მძვინვარე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





## პოეტის ასტრომეული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, ღმერთი არ მიუყენს რომ შებადარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონსაც, რომ აზანზარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არსის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგმიუვლომელი ასტრომეული ლაკიდა და ბაანოცხლა, მიძინებული, ღავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათტომეუტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ღებნდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც კომერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითები.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძენია დღამიწაზე...

კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგულეჟანი მისვლია... მათ იცინან იმ ოწყება დღამიწვის ისტორია“.

### ბულნაზ ხარაიჭვილი

პოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ღაურიატი,

ჯუმბერ ღეჟავას სახელოების მინინერებათა

საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი



„ბულცოვად შხხვდი ყოველ ძეხას, ყოველ კახეხას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაბიერ

(გაგრძელება)

უსაზღვროდ დამწუხრებული, გულჩვილი მგოს-  
ნისთვის მეტისმეტად მტანჯველია, სავარამოა მამის  
ტრაგიკული ბედი, მაგრამ მას ნუგეშს ფენს საფლავ-  
ზე საამაყო წინაპრის წვერსავით ამოსული ნახი ბა-  
ლახი, რომელიც კეთილმოქმედი კაცის ღირსეულ  
მემკვიდრეს აღერსსა და მოფერებას სთხოვს:

\*

„როცა დუმილის გზებით ჩავუვლი  
საფლავის ღოდებს,

ასე მგონია:

მამის საფლავზე –

მამის წვერივით ამოსული ღბილი

ბალახი –

მთხოვს მოფერებას.“





ეს ლექსი იმის მკაფიო დასტურია, რომ მამასა და შვილს ერთმანეთი უსაზღვროდ უყვარდათ.

ამავე თემატიკას ეხმაურებიან ლექსები: „გიოთვალთვალეებენ“, „ძმის ხსოვნას“, „შენ მეფერები“, „ვიცი მიმელი“, „აჩრდილები“, „ღამე სასაფლაოზე“, „წასული ყველა“, „ცუცუს და რახილს“ და ა.შ.

პოეტი მამაშვილურ გულიწმინდა სიყვარულსა და ზნეობრივ ძალას განსაკუთრებული პატივისცემის გრძნობით ასხამს ხოტბას. ეს ნიშნავს იმას, რომ ვაჟა ეგრისელი ზრუნავს თანამემამულეების მაღალი ზნეობრივი აღზრდისათვის. პოეტის ლექსის მწველი სხივი ქართველი კაცის გულის ყველა კუნჭულს განათებს. მისი თითოეული ლექსი გაცისკროვნებულია, გაჩირადდნებულია ძლიერი, მომხიბლავი სხარტული გამოთქმებით, რომლებშიც დიდმნიშვნელოვანი აზრი, წარუვალი სიბრძნეა დაგვირისტებული.

ლექსი „ღამე სასაფლაოზე“, მამისადმი სიყვარულის და მონატრების ურუანტელისმომგვრელი სურათია, ტანჯვაა, შვილის ხარკია მოსიყვარულე მამის მიმართ:

\*

„გულხელდაკრეფილ ჯვრებიდან და  
ცივ ლოდებიდან,  
ჩუმად გამოჰყავთ ღამე  
ღამურებს.



ბნელში დგებიან ცაცხვები და ვერხვიანები.  
მამავ!

გეძახი...

მე არ მესმის,

მაგრამ მე ვიცი,

რომ არყოფნიდან

შენ სიბნელით მეხმეიანები.“

დიდებული სისადავით გამოირჩევა ლექსი „მშობლიური სახლი“, მასში მეტყველებს გრძნობა, რომელიც ისე საესეა, ისე ჭარბი, რომ არ საჭიროებს არავითარ პოეტურ სახეს. მძიმეა მამის გარდაცვალებით გამოწვეული სევდა, რომელიც განუშორებლად ადევნებია პოეტის სულს:

\*

„მცირე ფარდაზე, კედელზე მუხის,

ისევე ჰკიდია მამა-პაპის

თოფი და ყამა,

თუმც დრო გარბის და... გადადის ყირას.

მე კი ბავშვივით

შევეყრებ მამას –

გადიდებული სურათიდან მოწყენით მზირალს“.



ღრმა და საგულისხმოა აქ დახატული განცდები. გარდაცვლილი მამა ისევ ცოცხლობს პოეტის გულში ნათელი და იდეალური ხატის სახით.

რაკი პოეტის მიერ მშობლების გარდაცვალების გამო დაწერილ ნაღველმორეულ სტრიქონებზე ვიმსჯელებთ. აუცილებელია რომ გავიხსენოთ ვაჟა ეგრისელის რამდენიმე სტროფი, რომლებშიც ღირიკული გმირის მძიმე განცდებია გადმოცემული:

\*

„ყველა კანონი იცვლება ქვეყნად,  
იმ ერთადერთის,  
იმ სიკვდილის კანონის გარდა.  
იგი არ მისდევს ჟამთა ცვალებას.  
მისთვის ერთია „ღიღი“ და „მცირე“,  
ყრუცა და მუნჯიც.  
მან აღარ იცის შეცოდება და შეწყალება,  
ყველას და ყოველს  
ის სიკვდილს უსჯის.  
და გამორიცხავს გასაჩივრებას.“

მაგრამ „ჭეშმარიტი ოპტიმიზმის ერთადერთი საწინდარი მხოლოდ სულის უკვდავების იდეაა“ (მ. კოსტავა).

„მწამს, მარად მიწამებია მუდმივ სიცოცხლე სულისა“ (ვაჟა).



„სულთა სამეფო არ არის კარდახშული“ (გოეთე).

„ნუ გეშინიან მათგან, რომელთა მოწყდნენ ხორციანი, ხოლო სულისა ვერ ხელეწიფების მოკვლად“ (მათე 10.28).

ვაჟა ეგრისელის რწმენით სიკვდილი მოუწოდებს ადამიანს საუკეთესოდ გამოიყენოს სიცოცხლის წლები, დაიხარჯოს და დაიწვას მიზნისათვის ბრძოლაში, ცხოვრებისეული ამოცანის გადაწყვეტაში. პოეტს ღრმად გაუთავისებია ის ჭეშმარიტება, რომ ამქვეყნად ბედნიერებაა სიკეთის, სათნოებისა და სიყვარულის დიადი ნიჭი. მხოლოდ სიყვარულშია სიცოცხლე, უკვდავება, რამეთუ:

\*

„თოვლქვეშ მძინარი იაიების

ულურჯეს ეტლით –

სიცოცხლე მოდის.

ხეებზე ჰყვავის ფერი აქატის.

და საფლავეებზე –

დამხობილ ლოდებს –

ამძიმებს პეკლის ჭრელი ფარფატი“.

ან:



\*

„სივრცეებს იქით...  
სხვა პლანეტაზე,  
მირიდი სხივით ნარწვევი,  
მარადისობის ისმის არია,  
და მზერაც ვარსკვლავს აწყდობა  
და მიხარია!“

ან კიდევ:

„ვით აპოლონი ან ვით ჰერმესი,  
მსურს რომ სიყვარულს  
ვთესდე და ვმკიდე.  
და სანთელივით ასე დავიწვა.  
მოსხენით მზე და...  
მზის მაგიერ  
ჩემს გულს დავკიდებ  
და მწამს გაათბობს მთელ დედამიწას“.

ვაჟა ეგრისელის ზემოთ განხილული ნაწარმოებები მკაფიოდ ადასტურებს, რომ იგი ისეთი პოეტია, ვინც „ტალსა და კვესს ერთმანეთს ახვედრებს ჭეშმარიტების დასაკვესებლად“ (ილია).

პუშკინის ერთ-ერთი ძლიერი ნაწარმოების შესახებ ბელინსკი წერდა: „ეს ერთსა და იმავე დროს ხალხური სიმღერაც არის მხატვრული ქმნილებაც.“



მხატვარს შეეძლო მისგან ისევე გადაედო სურათი, როგორც ნატურისაგან. გაარჩიეთ მისი ყოველი სიტყვა: რა სიღრმე, რა ჭეშმარიტებაა და მასთან ერთად რა სისადავე!“

იგი ვინც დაკვირვებით წაიკითხავს ვაჟა ეგრისელის ზემოთდასახელებულ ლექსებს, მტკიცედ დარწმუნდება, რომ ბელინსკის ღრმად გააზრებული სტრიქონები მთლიანად და დამსახურებულად გამოვკვადება იმისათვის, რომ სწორუტყვრად შევაფასოთ ქართველი პოეტის ღირიკული შედეგები:

\*

„ხუთზე მეტი ათასეულ –

წელთა იქით გიდგას ფესვი,

საიდანაც შენი ენის

მძინარ ენის სუნთქვა მესმის.

და მთებს და ზღვებს გადავყვივი:

საითა ხარ ჩემო ღვიძლო,

რომ კოლხური – უძველესი

მზის წარსული გაგიღვიძო“.

აი, რაში ხედავს მწერალი ადამიანის სულის ზეიმსა და გამარჯვებას, კაცობრიობის სილამაზესა და ნუბეშს.

ვაჟა ეგრისელი ცხოვრობს მომავლისათვის, მომავალი სიყვარულისათვის, იმ სიყვარულისათვის,



რომელსაც გულით ატარებს, რომლისთვისაც „მზის წარსულს აღვიძებს“. ეს სიყვარული დიადია და ლამაზი. იგი ჩვენ, ყველას გვეკუთვნის...

პოეტმა რამდენიმე ლექსი მიუძღვნა ეზო-ყურეს, თავისი ადგილის დედას – ხორგას და იმისათვის, რომ უფრო სრულად და გარკვევით გამოვხატოთ პოეტის რომანტიკის არსი და ხასიათი, უნდა გავიხსენოთ აკაკის ბრძნული შეგონება „ჩვენი მწერლობაც უტყუარი სარკე უნდა იყოს ქართველობისა, შიგ უნდა ისახებოდეს საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება მისის მიწა-წყლით, მთით და ბარით, ტყე და ველთა და სხვანი. ქართველის გრძნობა-გონება ხორცშესხმულად უნდა მოძრაობდეს შიგ უმეტნაკლებოდ ზომიერად. აწმყო წარსულს უნდა ეთანხმებოდეს და ორივე ერთად მომავლისკენ უნდა მიიწეოდეს“.

ვაჟა ეგრისელი პატრიოტული განწყობის პოეტი გახლავთ და მთელი არსებითაა შესისხლხორცებული მშობლიური სოფლის მაჯვისცემასთან. მშობლიური სოფლის დიდი სიყვარულია დახატული ლექსში „ხორგაში“.

\*

„აწ ხნოვანს,

სტუმრად ჩასულს სოფელში,

ბავშვობის ტკივილს გამიყუჩებენ,

(შემომხედავენ როს გაკვირვებით):



ჩაფლა ლექვები –  
დამსკდარ ტუნებით,  
ბროწეულები – ოქროს კბილებით.“

აქ პოეტის ფიქრები, სულიერი განწყობილებაა, რაც მეტყველებს მის ზნეობრივ უპირატესობაზე. რამდენი სიღრმე, ჭეშმარიტება და ამასთანავე, რა სისადავე და სიფაქიზია გრძნობებისა.

ღიას, მას, ვინც სოფელში გაზრდილა, ვაჟა ეგრისელის ამ სტრიქონების წაკითხვისას გაახსენდება თავისი ტკბილ-საამური ბავშვობა და იმ ნათელმოსილი დღეების მოგონებით ინეტარებს;

ვაჟა ეგრისელის მეორე ლექსში დახატულია მყუდრო, უშფოთველი, აუმიღვრეველი იდილია:

\*

„დაუხურავთ თივის ზვინთა ბოხობები –  
შემოდგომის თეთრ დღეებს  
და მიდიან...“

ქვევრში მამის დამწყვედული  
ოჯალეში ბორგავს,

იქვე

ფაცხის ლაფაროზე ჰკილია –  
თავის თოკზე

ჩამომხრჩვალნი გოგრა.“

(„შემოდგომა“)





აქ სოფლის პლასტიკური მშვენიერებაა, სევდანარევი მშვენიერება და სილამაზე ძაღდაუტანებლად შემოდის ჩვენს სულში და პოეტთან ერთად ჩვენ ვგრძნობთ „ქვევრში დამწვევდელი ოჯალემის ბორგვას“, რომელიც მარადიული სილამაზისა და სიცოცხლის ჰიმნად იკითხება. ასეთ ხილვებში, ასეთ პოეტურ ხატებში ვლინდება ვაჟა ეგრისელის პოეტური ოსტატობის დიადი და მომნუსხველი ძალა.

მართლაც, რომ პოეტობა რჩეულთა ხვედრია, ბუნების სურათები და საგნები, კოლხეთის კოლორიტი და მშობლიური სოფლის ყოფაა ვაჟა ეგრისელის პოეზიის ძირითადი მასალა, რომელიც საფუძვლად ედება მის მიერ წარმოსახული გრანდიოზულ სამყაროს. ლირიკული გმირის სული და გულია ჩანასკვული პოეტის ამ ლექსებში:

\*

„ჩემი ბავშვობა

ჩამოტეხავს ჭონტოს

ჩიტლედვას,

აივსებს უბეს პარას თხილით,

ომას ატმებით

და... წაიქცევა...

ბავშვის ტირილს როცა გავიგებ,

ჩემი ბავშვობა,

ჰოი!

როგორ მომენატრება“.



აქ მართლაც დიდოსტატურადაა გადმოცემული ლირიკული გმირის სულისა და გულის ძერა. ამ სტრიქონების წაკითხვისას ყოველი კეთილგონიერი მამულიშვილის თვალწინ გაიელვებს სხივცისკროვანი ჭარმაგი მგოსანი, რომელიც ტკბება ბავშვობის უდარდელი დღეების მოგონებებით. გვხიბლავს განსაკუთრებული პოეტური აღმაფრენა, პოეტის სულის წმინდა ალი. გვახსენდება ბრძენი მწერლის ნათქვამი: „სალი ფანტაზია ისეთს ვერაფერს შექმნის, სინამდვილეს არ ეთანხმებოდეს, არ შეეფერებოდეს“.

სოფლის იდილიური სურათია დახატული ვაჟა ეგრისელის ამ ლირიკულ ნაწარმოებებში:

\*

„კოლხური ეზო...

ფიანდაზად გაფენილი კოინდარი,

მკერდზე ოჯალეშჩახვეული თელა და ბუოლა,

კრუხი,

თავისი დასაკლავი დანა რომ ჩხრიკა

და წიწილები...

წიწილების შიში და ჟრჟოლა,

ცხიკ!

ცხიკ! – ცხვირი დააცემინა ჩხიკვმა!“

ვაჟა ეგრისელი აღაფრთოვანებას ვერ მაღლავს მშობლიური პეიზაჟებით. არსად არ შემხვედრია ამ-



დენი გაზაფხულები, ამდენი ღოყებდამსკდარი ბრო-  
წულების ცეცხლები, სისხლისფერი ყაყაჩოების ჭი-  
ქები, თეთრად აფეთქებული ნუშები და იაიების ბო-  
ლი... ასეთი თავისთავადი ესთეტიკური ინფორმაციის  
ველი იხსნება ვაჟა ეგრისელის პოეზიაში. საოცარი  
ფერწერილობით, შთამბეჭდავი მეტაფორული სხი-  
ვოსნებით დახატული მშობლიური სოფლის სილამა-  
ზე...

და მაინც, რაც არ უნდა სევდიან ტონებში იყოს  
შესრულებული პოეტის ლექსი, მაინც გამოსჭვივის  
საკმაო სინათლის შუქი;

\*

„პირს შეიმშრალებს ცისარტყელა ქათქათა  
დრუბლის  
სველ პირსახოცზე და ყურს უგდებს –  
ტალღების წუხილს.  
რეკვიემივით წარსულიდან მოისმის  
„ბატა“,  
მოწყენილ ციდან სიზმარივით ჩამოდის  
მწუხრი  
ზღვა მოლბერტია,  
უხილავი,  
ქარიშხალს ხატავს“.



აქაა რეკვიემით წარსულიდან მომსკდარი „ბატაც“ და მოწყენილი ციდან სიზმარივით ჩამოსული მწუხრიც, რაც მომავალი ქარიშხლის წინამორბედია, რომელიც ნაჩვენებია ცისარტყელისა და ქათქათა ღრუბლის ფონზე და მკითხველში დეპრესიას კი არა, რაღაც თბილ გრძნობებს აღძრავს.

„ვაჟა ეგრისელი, თავისი ყველსაგან გამორჩეული, საკუთარი ხელწერით, ორიგინალური ხმით, მოვლენათა ხედვის მასშტაბურობით და იდუმალი ხილვების უნარით, უკანასკნელი პერიოდის ქართულ პოეზიაში თავისებურ მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული... (პროფესორი შოთა ლომსაძე).

ამ მარგალიტებად, ლამაზ მიძივებად ასხმულ მინიატურულ ლექსებში, როგორ დაატია ეს ამხელა – „დაუმცხრალი სულის დელვანი!“

მადლიერების გრძნობით ვამბობ, რომ ჩემი ეზო-ყურე მომავონა ვაჟა ეგრისელის ლექსმა „ბავშვობის მოგონება“ – წერდა აწ განსვენებული პროფესორი ჯოდორ დადიანი.

\*

„სოფელი...

ეზო მოღობილი ტრიფოლიატით...

ჭა, ოწინარი ფეხისწვერზე ისევ იწევა!

მეგრული ოდა... –

კოპიტის ხე და საქანელა,



საქანელაზე ზის მტირალი ჩემი ბავშვობა  
და დედის ხმაზე მშვიდად ირწევა“.

აქ ქართული სოფლის იდილიური სურათია.  
„...ტრიფოლიატით კოხტად შემოდობილი ჩემი ეზო  
და მწვანე კონდარზე მტრედევით დამჯდარი მეგრუ-  
ლი ოდა“ – იგონებს პოეტი ერთ-ერთ ჩანაწერში...  
ვაჟა ეგრისელის ეპითეტის შეუდარებელი ოსტატია  
და თითქოს ფერადოვნების უსაზღვრო სამყაროში  
ვექცევით. ეს ნაწარმოები ადამიანს „გულში ჩააფენი-  
ნებს ხოლმე მადლს მაცხოვარს შეუქს სათნოების  
კვირტის გამოსაკვანძავად და მერე მშვენიერ ყვავი-  
ლად გარდასაშლელად.“

ვაჟა ეგრისელის ლექსები, რომლებიც მშობლი-  
ური ეზო-ყურესადმია მიძღვნილი, თბილ გრძნობებს  
აღძრავს მკითხველის გულში. აი თუნდაც:

\*

„სიღურჯესა და სიანკარეს წუხს ხობისწყალი  
და მთების დარდებს

ზღვისკენ მიათრევს...

მწუხრი შორს ჩანდა,

მაგრამ მაინც

უცებ შებინდა.

და აი, ახლა, ციცინათელას დაჭრილ



ფრთებიდან  
წვეთავს და წვეთავს ლურჯი სინათლე“.

მართლაც რომ დიდი ოსტატობაა და გულთამხილაობაა საჭირო რომ ასეთ ნაღვლიან თხრობაში მკითხველი დიდ სითბოსა და სიტკბოს აზიარო. ასეთი ხილვებითაა გამდიდრებული ვაჟა ეგრისელის პოეზია შემოქმედი სულში ატარებს ნათელსა და მარადიულ ჭეშმარიტებას და სილამაზის, სიკეთისაკენ სწრაფვის დაუოკებელი ჟინით მსჭვალავს მკითხველის მთელ არსებას.

„...ეგრისელის ლექსებში სიყვარულითა და სათნოებით შემოსილი ჭეშმარიტი პოეზია სუნთქავს. ყოველ სტრიქონში მისი ღვთაებრივი სულია ჩაკირული და ისმის მისი გულის ძალუმი ფეთქვა, რომელმაც მომაგონა ანატოლ ფრანსის სიტყვები: „მე დღევანდელი დღისთვის, ლუკმა პურისთვის კი არ ვწერ, არამედ საუკუნეებისათვის“.

ვაჟა ეგრისელის ლექსებში ჩვენ გვხვბლავს, გვიპყრობს ერთი შეხედვით უმნიშვნელო სიტყვათა, ფრაზათა იღუმალი ჰარმონია, მართლაც რომ ყველა სიტყვა საღრმთო ელვაა, რომლის შუქითაც საოცარი ნათელხილვაა:



\*

„მთვარით გადაშლილ ღამის რვეულში –  
მეტეორები  
ოქროცურვილ ხაზებს ავლებენ...  
ქარები ღრუბლებს თავს აფარებენ.  
და ციმციმებენ ცაში მთიები –  
ანგელოზების ნატერფალები.“

ეს ლექსი უმშვენიერესი ქმნილებაა, რომელიც უშფოთველის ნათლით კიაფობს. უფრო მეტიც, აქ სილამაზის ჰარმონიაა, მზის ღიმილი და სიმშვიდე. ანგელოზების ნატერფალების ფონზე პოეტმა გვაზი- არა ამაღლებულსა და დიადს, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია თანამედროვე ეპოქის ადამიანი.

### **მზის სასწაული**

როგორ ყოფნით მზეს და მთვარეს  
ცა სამოსახლოდ  
მზერა რომ ინაკლისებს  
მის სიმცირეს.

ხმა არ ესმით არც მტრის და არც მოკეთის  
და მგოსანი ჭერეტს თავის სულს  
მოდმიციმეს,  
ვარსკვლავების ცხრაკლიტურში  
გამოკეტილს. –



მსგავსი ლექსები ძალიან ბევრია ვაჟა ეგრისელის პოეზიაში. პირველივე სიტყვიდან რომ გვხიბლავს სტილის ლაკონურობით, მოულოდნელობით და ორიგინალობით ასე ვთქვათ ყოფნა-არყოფნის, წარსულის, აწმყოსა და მომავლის საჭირობოტულ საკითხებით...

### **ციალა მუსხია**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

*ნაწევები წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია  
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)*

*გაგრძელება შემდეგ ტომში*





## ბროწეულის ხე

ორმოცდასამი...

სტალინგრადი...

გელოზიები ძმები:

ბონდო, კოკი და

ბურდა

(რომელთ ეძახდა ხალხი იღბლიანს).

იმათ ჭიშკართან

ბროწეული იდგა

პირდია,

ნეტავ ვიცოდე, რისი თქმა სურდა!

1954

**ხილვა: იესო ქრისტე და იოანე  
ნათლისმცემელი**

ისმის კენესა და გოდება,  
ირგვლივ ცოდვის დგას მორევი...  
შოლტით ცემენ და ორივეს –  
(ნათლულსა და ნათესავებს)  
წარმართ ღმერთებს აფიცებენ:  
ქრისტესა და  
იოანე ნათლისმცემელს.

1962



\*\*\*

“ნუ წარსდგები უფლის წინაშე  
ხელცარიელი”.

(სიბრძნე ზირაქისა, 35,4)

ყოფნა მეგონა ერთი არშინი,  
თურმე ყოფილა ერთი მტკაველი.  
აი, ამქვეყნად მე რა მაშინებს.  
თუმც ჯერ შორსაა დასაღიერი...  
მაგრამ...

რას იტყვის ვაჟა-ფშაველა,  
როს წარვეუდგები ხელცარიელი!

1961



## წინათბრძნობა

დაღლილსა და დაქანცულს,  
ვით მაცხოვარს მლიქვნელნი,  
გზაზე მიგატოვებენ!!!  
შენ კი მაინც ცად იღტვი –  
სხვა მზისა და  
სხვა სიტყვის,  
ფრთით და...  
დაფნის რტოებით.

2014



\*\*\*

(ვარიანტი)

ბრმა და ბედკრულ სამყაროს,  
თვალი ვინც აუხილა,  
მისი ფრთათა რხევის ხმა, –  
მიწას წვედება ქუხილად,  
რადგან მან გვაზიარა –  
ხილულსა და  
უხილავს!

1985





**ხილვა: იუდეა, კესარია (I ს)**

ჰურიათა წარსულიდან,  
ჩუმად ჟონავს ხმა მწუხარე  
და ძირს ცვივა ფიფქებად:

- იუდეა,

კესარია,

რომაელთა ვასალები დღეს არიან,  
მაგრამ ხვალ არ იქნება!

1959



\*\*\*

ვარსკვლავების ბილიკებით –  
იღუმალი შენი მოსვლა,  
იგრძნეს მათა –  
მწვერვალებმა.  
ცისქვეშეთს მზედ მოეფინა –  
სხივთა შენთა ელვარება.

1971





## შრთას მთა და ჩე გოლა

მე რომ ლურჯი მეგონა,  
პონტო თურმე შავია!  
მის ნაპირზე დამდგარი –  
ურთას მთა და  
ჩე გოლა<sup>1</sup>  
ჩემთვის ტიან-შანია.<sup>2</sup>

1958

---

<sup>1</sup> ჩე გოლა (მეგრ) – თეთრი მთა

<sup>2</sup> ტიან-შანი (ჩინ) – ზეციური მთა



**ქუჯი**

ათასწლეულების მერეც,  
ყველა მეფე და ვეზირი –  
ტიტულიტარს ელის თავის!  
დაკნინება?

ეგ რისთვის?!

ქუჯი,

არა ერისთავი!

მეფე გახლდათ ეგრისის...

1960



აბა ულა<sup>1</sup>

ნუ შეგვაკრთობს შემოხედვა

ჯვრების,

ქვების და

ლოდების.

რეკვა მიმწუხრის ზარების.

ჩვენ წასვლა რად

გვეზარება,

იქ ხომ ქრისტე გველოდება!

2010

---

<sup>1</sup>აბა ულა (მეგრ) – აბა წასვლა



\*\*\*

ცისიერი რაც მეგონა,  
თურმე ის მიწიერია!  
დავაში კი სიბერე  
მოვიდა და მოშავდა!  
და... ის, რაც მიწიერია,  
- არა ღირს ერთ –  
გროშადაც!

1999



**ღამე დაღესტანში**

მარჯვენა მოჭრილ ქისტე ყმის,  
დედა წარსულში ატირდა,  
როცა გამოჩნდა აული.

მთვარე ჰკიდია –

შატილთან,  
ვით ხმალი “ბაწარაული”.

1958



## ქარიშხალი ბარენცის ზღვაში

აღიმართნენ უეცრად  
ზვირთთა პირამიდები,  
ჩამობნელდა არე ცის  
და იღბალს მინდობილებს,  
ზღვა გველოდა ბარენცის,  
ისე, როგორც ამუნდსენს,<sup>1</sup>  
გემ “მოდის” და...  
ნობილეს<sup>2</sup>...

1983

---

<sup>1</sup> რუალ ამუნდსენი – პოლარეთის მკვლევარი (1872 – 1928)

<sup>2</sup> უამბერტო ნობილე – დირიჟაბლის იტალიელი კონსტრუქტორი (1885 – 1978)



**ხილვა: ანანსი და კაიაფა**

მღვდელმთავრებს და ფარისეველთ  
საქმე კარგად მიუდიან –  
ხელთუპყრიათ კესარია,  
მასთან ერთად – იუდეა.  
ქრისტეს ჯვარცმა ჩანს იაფად.  
პილატეზე<sup>1</sup> მავედრებელს  
ვჭკვრებ – ანანს<sup>2</sup> და  
კაიაფას<sup>2</sup>.

1960

---

<sup>1</sup> პონტიუს პილატე (პილატე პონტოელი) იუდეას გამგებელი (პროკურატორი 6-36 წწ)

<sup>2</sup> ანანსი და კაიაფა – მღვდელმთავრები



**სიცოცხლე! –**

**სიკვდილს ნიშნავს**

ცად იმედები ყრია,

ვითარცა ზღვაში ქვიშა,

მაინც სამყარო მთელი,

გადაქცეულა შიშად.

იშვი?! –

სიკვდილი გელის,

სიცოცხლე! –

სიკვდილს ნიშნავს!

2015





\*\*\*

ქარიშხლისაგან არის ნაშობი  
და სული შენი ზღვისკენ  
ოურვის,  
რადგანაც იგი ღელვის ჟინია.  
ზღვა ხსნაა შენი –  
ამჟვენიური  
და მიტომ მისი არ გეშინია.

1965



**ხილვა: თავადი**

ტანზე რწმენის მოსავს კაბა,  
რწმენით არის ავად ის.  
სოფელ-სოფელ,  
დაბა-დაბად  
ვხედავ: დადის თავადი –  
ღვთის რჩეული,  
“ათორმეტნი მოწაფით”.

1966



ისევ ან მარე<sup>1</sup>

შენ აშენებდი რომს და ბაბილონს,  
და ლეგენდებმა მიტომ  
გიშვილა.  
საოცრებებს კი ვერსად წაუელ.  
ადამის მოდგმა,  
ვითა მზის შვილის,  
ამბობს იგავად –  
შენს სასწაულებს.

1963

---

<sup>1</sup>ან მარე – ცის კაცი, კოლხეთ-ქიმეთის (ეგვიპტე) მითიური ხელმწიფე (5185 – 5120)



**მ ა ხ ვ ი ლ ი**

*“ქვეყნად უცვლელი მხოლოდ ის არის,  
რომ ყველაფერი ცვალებადია”.*

*აღიო მაშაშვილი*

ამ ცისქვეშეთის ცხელ უდაბნოში,  
ქარაგანივით გაბაწრული  
საუკუნენი  
ზღაზვნით მიდიან...  
და... კაცთა მოდგმის თავზე მახვილი,  
როგორც ეკიდა,  
ისე ჰკიდია.

1990



**ხილვა: ქალდე და ქალდეველები**

დასცქერით “ქალდე” –

მთვარის დვთაება,

და ლოცულობენ ქალდეველები.

ირგვლივ გაშლილი ფარა –

აბრამის,

მოყვასს თვალს უხელს...

და მტერს აბრმაეებს.

1964



## ათი მნათი

პოეზიის ცის უდაბნოს,  
კვლავ ანათებს “ათი მნათი”.<sup>1</sup>  
და იქიდან დედამიწას –  
ვარსკვლავებად ეფინება –  
მათი ოქროს ათინათი.

1963

---

<sup>1</sup>«ათი მნათი» – იგულისხმება: ჰომეროსი, რუსთაველი, დანტე, შექსპირი, ბაირონი, პუშკინი, თაგორი, ვაჟა, აკაკი, გალაკტიონი





**ხილვა: ისევ ამოცალები**

მტერი რომ შემოიტყუონ,  
ფარ-ხმალს ქვიშაში მაღავენ  
და ისმის მათი სიმღერა,  
ცისკრისას,  
დილა სისხამი.  
და როცა მტერი თავს ესხმით,  
იარაღს წამს აისხამენ,  
მუსრს ავლებენ და  
მათ თავებს  
მზითვად ატანენ ზღვის  
ღელვას.

1961





2000

ორი ათასწლეული –

საუკუნის რაშებმა

უცებ გადითარეშეს...

(აი, ახლაც, კისრისტეხით ერთურთს

მისდევს...)

ყოფნა არ იქნებოდა,

აქ არყოფნის გარეშე,

ვითა უიუდოდ ქრისტე.

1967



\*\*\*

ათასწლეულებს შემორჩენილი,  
და ღვთისმოსავი შენ ხარ  
ისეთი –  
კოსმიური დარდით მოცული,  
რომ ბევრი არა,  
შენ ხარ ის ერთი,  
ერი და ბერი ვისზეც ღოცულობს...

1950



## ოტი ღღე

ღამის ხეებს ეფარება

ღანდი შავი და ფარული.

და ღუმელის ზარები იქ

მჭუხარებენ...

აქ კი მოსვლის დღეა დიდი

სიხარულის,

ხოლო წასვლის –

უფრო დიდი მჭუხარების.

1996



**ხილვა: ქრისტე და ბარაბა**

ორი და მეტი ათასწლეულის  
ბილიკით მოდის  
ბრბოთა ყაყანი,  
ჩხუბი,  
დავა და დავიდარაბა...  
ჯვარს გაკრულ ქრისტეს  
შესცქერს თაყვანით  
ხალხი და...  
იქვე მდგარი ბარაბა.<sup>1</sup>

1960

---

<sup>1</sup>ბარაბა – ავაზაკი, მკვლელი, ყაჩაღი



კვანტური მექანიკა,  
ფარდობითობის თეორია

ამქვეყნიურ სიკეთის  
ოდითგანვე ნატრული,  
პონტოს სანაპიროზე  
შენ რომ შენი ღექსებით  
თავს რომ ფართოდ  
ირთობდი,  
თურმე შენი “ფსალმუნი”.  
“მექანიკა კვანტური”,  
“თეორიაა – ფარდობითობის”.

1979



## პოეზია და რწმენა

ზღვის გაღმიდან უთვალთვალებს  
დიდი ტომას ელიოტი:  
გრეცემანის –  
“პოეზია და რწმენა”.  
ღამის უღრანს ვით მოჰკაფავს  
და ოქროს ჩანგს ვით  
აკუნესებს:  
თომას მანი და  
ფრანც კაფკა,  
გოტფრიდ ბენი,  
ჰერმან ჰესე...

1959



## კვარკები

ქართული მთები და  
ველ-მინდვრები.  
ღამაზები და კარგებია  
და ახდენაა ოცნების!  
შენი “ფსალმუნები” –  
კვარკებია,<sup>1</sup>  
რომლებსაც ეძებდნენ  
მგოსნები.

1964

---

<sup>1</sup> კვარკები – მატერიის ელემენტარული ნაწილაკები



## ღალი და სპეკალი

შორით ხელებს გიქნევდნენ  
შტერად მდგარი ქედები,  
მთები და მწვერვალები...  
გდევდა შური ფარული –  
სურდა, რომ მოეკალი,  
მაგრამ გიელვარებდა  
გზას ღალი და სპეკალი.

1971






## პარიბჭე

სამოთხეში შემავალ –  
ვარსკვლავებით დახურულ  
ციხის შენ ხარ კარიბჭე,  
მოკვდავებს რომ სიყვარულს  
და სიცოცხლეს –  
გვანიჭებ.

1972



## ცისფერყანწულები

შიგ ეწვინათ ოცნება,  
მთვარის აკეანს არწევდნენ...  
და მზით სავსე ქართულ ცას  
უფრო მაღლა აწევდნენ,  
მაგრამ...

აღარ აცაღეს!!!

სიყვარული “ცისფერის” –  
ციერ “ცისფერყანწულებს”.

1059



**ჩე ბოლა ანუ “წმინდა მთა”**

პონტოს სანაპიროზე,  
ზღვით და ლოცვით  
დაღლილი,  
კითხულობდა “იადგარს”<sup>1</sup>,  
როცა ესმა ცით რეკვა  
და...  
“წმინდა მთას” მიაღვა.

1959

---

<sup>1</sup>იადგარი (სპარ) – ძველ ქართულ მწერლობაში, ჰიმნებისა და საგალობლების კრებული



## ლუციფერის მიზრაჟი

მეცამეტე ცის თაღზე,  
სად ნათელი მეუფობს,  
უნდა ვიყოთ მიმწრაფი,  
სანამ რამეს –  
ჩამოკრავს,  
ლუციფერის მიზრაფი.

1983





\*\*\*

ცა მზით მორწყული და მოყვავილე,  
აღბათ მიწა იყო წინ დროს.  
მთვარე კიდობანს მოჰგავს  
ნოესი.  
და იმის იქით აღბათ ბინადრობს –  
ბნელი –  
ნათელზე უხემოესი.

1962



სიცოცხლის და ცნობადის ხის

მტკვარს და არაგვს,

ფაზისს,

ჭოროხს,

სულ მოჰქონდა ნობათი ხმის

შენი...

თავზე გადგა ორო<sup>1</sup> –

სიცოცხლის და

ცნობადის ხის.

1966

---

<sup>1</sup> ორო (მეგრ) – ჩრდილი



## უხილავს და უსახელოს

ვითარცა ცის ბინადარი,  
    ღამის მიღმა –  
                    ცხოვრობს მზეზე  
და ზე-იწვევ სავსე მთვარის –  
    მოქათქათე ცივ საყელოს.  
    მარტოსული,  
                    მარტო ეძებ,  
უხილავს და უსახელოს.

1958





1991 – 1992

აღათს მამა-პაპათა,

ზურგი კვლავ შეაქციეს,

სინდისს,

ნამუსს ყიდიან,

ვით ცხენსა და უნაგირს.

რუსთაველის სამშობლო –

საქართველო აქციეს –

ავაზაკთა ბუნაგად.

1992



**ხილვა: ბატათაშვილი და სათარა**

ვით გაუმწარა სიცოცხლე

თბილისს –

სპარსმა და

თათარმა...

იქ – ორთაჭალის ბაღებთან

ვჭკერებ:

ნიკო ბარათაშვილს და

“ირანელ ტენორ სათარას”.

1962



## სად განისვენოს სულმა

ამონათებს როცა

ცაზე ვარსკვლავი ისნის,

ვით გარდასულთა ურვა

და დაკივლება წავის –

საიდანღაც კვლავ ისმის:

“სად განისვენოს სულმა,

სად მიიდრიკოს თავი?”

1960



**ხილვა: ქრისტე და ათი  
კეთროვანი**

ერთად ათი კეთროვანი

განკურნა და...

მაცხოვარი,

მათ ათივეს მიეღის.

მაგრამ არვინ აღარა ჩანს,

გარდა ერთი “უცხო თესლის”,

ვიღაც სამარიელის.

1964



## ახალი ათონი

ექსინის პონტოს ზღვისკარად,  
და ათონის ქვაბულში რომ  
სძინებია,  
ო, ის კოლხური წარსული,  
ახლა რომ საქართველოს  
უფანტავს ავსულებს,  
შენი “ფსალმუნების” –  
ტრავერტინებია<sup>1</sup>.

1976

---

<sup>1</sup> ტრავერტინები – ნაღვენთი, ფოროვანი კირქვა



## იონე ღამასკელის ტროპარი

ბევრი ღამის ტყვის მერე,

შენც ასევე დაასკენი:

- რომ ყოფნა სიკვდილს  
გაგაღებს.

და ტროპარიც დამასკელის –

“ჭეშმარიტად ამოა არს

ყოველივე წარმავალი”.

1969



\*\*\*

ჟამი საავდრო ღრუბლებს  
შენსკენ ჩუმად მოდენის –  
სხვა ცეცხლით  
და სხვა აღით.  
მაგრამ ბუხს ვერ აგიფრენს,  
რადგან შენ ხარ რაინდი  
“პოეზიის”,  
“გრაალის”  
და “საწმისის” ორდენის.

2008



## საქსაულის ხე ზღვისპარად

წუთისოფლის ბილიკით

აქ,

ვის არ ჩაუვლია?!

ეს ხეც – საქსაულია,

მკერდს რომ უშვერს

მზის ცოცხებს.

ქვეყნად სასწაულია,

სიკვდილიც და

სიცოცხლაც!

1962





## სულის თვალი

მწუხრი მნათთა ოქროს ზარებს  
ისევ რეკავს,  
როგორც მნათე,  
რომ სივრცეებს დასცეს ელდა!  
მეცამეტე ცის ბნელ  
ნათელს,  
მხოლოდ სულის თვალი ხედავს.

1962



## თურმე

იქ,

საიქოს თურმე არის ასეთი წესი,

აქ,

სააქაოს როცა “კარგი” სუფრა იშლება

(ეს სულ ერთია, ჭირის თუ ლხინის),

მოაწყდებიან მკვდართა სულები,

ხელთ: კარახანით,

კულით,

ფიალით

და... ვის სახელსაც ასხენებენ,

მისი სასმისი ივსება ღვინით

და...

ვისიც არა,

“შინ” ბრუნდება თვალცრემლიანი...

1965

\*\*\*

გაუგალ უღრანს ათასწლეულთა,  
კოლხო!  
პირველი შენ მიბელავდი,  
და მიგქონდა “ოქროს საწმისი”,  
რადგან შენ იყავ –  
    ტომის ბელადი,  
ადამის ძეთა –  
    პირველ საწყისი.

1960



**ისე, როგორც მიქელანჯელო**  
(ვარიანტი)

უკვდავებაზე,

რადგან არ მსჯელობ,

და ისე, როგორც

მიქელანჯელო,

ამბობ, რომ ქვეყნად –

სიცოცხლეა –

კაცთა სასჯელი!

1972



## ჩემი კოლხეთი

აირია ქვეყანა...

    წლები რბიან თარეშით,  
    მაგრამ წამი რა არის,  
ისიც არ მიცხოვრია,  
    მე,  
    კოლხეთის გარეშე!

2016



## პოეზიის ძაღლყურძენა

“ადესას” და “ოჯალეშის”  
ნაუურსა და მზეს ნახვევმა,  
წყალს ვერ ჩაატანე გემო,  
და გულიც ვერ აგიბგერა.  
ის ყოფილა რადგან, ჩემო,  
პოეზიის ძაღლყურძენა.

1994



\*\*\*

ოპიზარების ნაჭედი –  
დაგყურებს მარმარილოს ცა,  
რომელსაც გულში მზე უცემს.  
შენ კი,  
ვით მგოსანს, გილოცავ,  
ზე –  
ამაღლებას სხეულზე.

2015



## სიცოცხლე და სიმატოვე

ვერ მიჰყევი უფლის მცნებას  
და პირველი სიყვარული,  
ვაჰმე!  
როგორ მიატოვე!

აი,

ახლა, მიტომა გკლავს –  
სიცოცხლე და სიმატოვე.

2016





\*\*\*

ცისიერი სამყარო –  
რწმენითაა ნაქსოვი...  
და ივსება სინათლის  
ღვინით მნათთა თასები.  
ცნობადის ხის ნაყოფის მიმღებს  
უნდა ახსოვდეს,  
რომ სიცოცხლის ხის გვერდით,  
განკითხვის ხეც არსებობს.

1963



## შური

“შური არს წუხილი სხვის სიკეთესა ზედა”  
საბა

ჭვრეტ,

რომ შური არ იხვენებს,  
მიდის,

მოდის,

ჭორებს ფანტავს

(ავდარი თუ არის დარი).

ჭრილობებზე აყრის მარილს,

შენს გულს, ორგზის

ნაინფარქტალს.

2016



## იბავები და ხილვები

ვით ცის ბანზე მნათობები,  
ზღვათა ფსკერზე ყრია  
მიწის სამხილები  
და დღითიდღე ნათელივით იზრდება.  
ზე – სამყაროს იგავები  
და ხილვები,  
რაც შენშია,  
სხვებს არც დაესიზმრებათ.

2003



## უპონტოდ და უკოლხეთოდ

ქურთი ახლა სპარსელობს... და  
სომეხი კი უკვე ხეთობს  
და ვიღაცა კვლავ ავსულობს.  
ნეტავი, რა იქნებოდა –  
ეს სამყარო უწარსულო,  
უპონტოდ და  
უკოლხეთოდ.


2015



## შენი გული

ზე-ცა წამით არ გასვენებს,  
ვარსკვლავებით შენიღბული,  
თეთრად მთევებს დამეთა...  
როგორ უძლებს დაკემსილი  
შენი გული,  
ზღვათა შფოთვებს,  
დეღვას ოკეანეთა...

2016



## ბჰაბაგადგიტა

იყოს სმენა,

გაგონება:

ღვთისკენ სამი გზა არსებობს –  
ცოდნის,

რწმენის და გონების!

(თუ შიში არ აგიტანს!)

სწორედ მისკენ გზას გვასწავლის –  
დიდი ჯავაჰარლალ ნერუს  
“ბჰაგავადგიტა”.

1964





## მაკრალევი<sup>1</sup>

აფროდიტეს<sup>2</sup> შვილობა,  
ველარ შეიფერეს-რა!  
ზღვისპირ მუხლმოყრილები,  
წვიმას ეკედრებოდნენ –  
ოდისა<sup>3</sup> და ცერერას<sup>4</sup>.

1960

---

<sup>1</sup> მაკრალევი – კოლხთა მონათესავე ტომი

<sup>2</sup> აფროდიტე (ბერძ) – სიყვარულისა და სილამაზის  
ქალღმერთი

<sup>3</sup> ოდი (კოლხ) – მთვარის ღვთაება

<sup>4</sup> ცერერა (რომ) – ნაყოფიერების ღვთაება





**კოლხურ-იბერიული**

ლოცვითა და ვედრებით,  
ასიათასწლეულის  
უფრო იქით – იურვი,  
სადაც ღმერთი გეგულის  
კოლხურ-იბერიული.

1960



## ბეჭრამბური

ბევრი ათასწლეულია  
პოეზიის ციხე-კოშკის  
ასაგებად ჩუმად მიაქვს –  
ბევრს კირი და  
ბევრს აგური,  
მაგრამ ვერვინ აღაშენა,  
კოშკი არა,  
სასიბინდე,  
მაშინ, როგორც “ღაზალების”  
ცათამწვედენი,  
სასანიდმა –  
ბეჭრამბურიმ.


1962



**მზე, მთვარე, ვარსკვლავები**

მზეს და მთვარეს შევციცინებ,  
ვით შორეულ წინაპრებს.  
ვარსკვლავებს კი  
შუბლს ვუკოცნი –  
ღვთის სიბრძნესთან წილნაყრებს.

1966



**სიყვარულის სიმღერა**

ამქვეყნიურ ქაოსში,  
ყველაფერი იმდგრევა,  
გარდა ერთის,  
ვითა ღმერთის,  
სიყვარულის სიმღერა.

1960



**ხილვები და იბავები**

სულ სხვა იყო მზე კოლხური  
და ეკქსინის პონტოს  
პირას,  
მოხვედი და მზით დაები.  
და ამრავლე,  
ვით ოსიამ,  
ხილვები და იბავები.

1969



**N-ს**

ათასწლეულების იქით –  
მითების და ლეგენდების  
ძველ წიაღში გიდგას ფესვი,  
სადაც ჩუმად ეფერება  
იოსა და ჰერას ზევსი.  
წინ გზა და ზღვა გელოდება  
უუშორესი და  
უღრმესი...

1963



\*\*\*

ვარსკვლავების ისრებს სტეორცნის  
ღამე მიწას და  
გრიგალი,  
ზღვას მთოვარი გვირგვზე ართავს  
და... იოლი მას ჰგონია,  
ცისთვის მიდგმა ოქროს  
კიბის,  
გადაადგილება მთათა.


1959



## შორი და ასტრალური

სუფევს ღამის წყვილიაღი  
და სანამდის ანათებს,  
ის შორი გზა აღური,  
მანამ ფრთებით სინათლის  
უნდა შეძლო მგზავრობა  
შორი და...  
ასტრალური.

1966





**ღები**

(ცუცა და რახილ ლიფონაეების ხსოვნას)

ულამაზეს (გაუთხოვარ)

ღებს ვიგონებ:

ერთი – ცუცა და მეორე –  
რახილია.

საუკუნის მერეც ორივე ცოცხლობს  
ჩემში,

მათთან სიკვდილს –

რა ხელი აქვს?!

1958



\*\*\*

კოლხურ ხიდან ნაკეთები  
ცას მიადგა ოქროს კიბე,  
რუბიკონიც გადალახა.  
და ფაზისთან ელოდება –  
განგს,  
ნილოსს და  
გვადალახარს.

2013



## ცრემლი

ცა – სიშორით და  
ბრძოლით დაღლილი,  
ღელვას ვერ უძლებს ჟამთა  
მდინარის.  
და ვარსკვლავების ოქროს  
ფრესკების  
ცრემლი სახეზე ჩამომდინარი,  
რა ქნას,  
ნიკაფთან  
ჩუმად ეფსკუნება.

1960



ხილულს არა,

უხილავს

ელვის წამით გაკროტომა,

ძირს ჩამოდის ქუხილად!

შენ კი,


ვით მზის ნაშვიერს,

გსურს ნათელს ეზიარო,

ხილულს არა,

უხილავს.

1972



## ოსანა

მგოსანს, ციდან მოფრენილს,  
ტადრის ბჭესთან მლოცველნი,  
როს ეტყვიან “ოსანას”<sup>1</sup>,  
ხსნა არ ძალუძს საბრალოს,  
რა უნდა ქნას –  
მგოსანმა?!

2016

---

<sup>1</sup> ოსანა (ბერძ. ძვ. ებრ) – გვიხსენ!



## ხუ და რეა-კიბელა

მღერიე ათასწლეულებს –  
    მთარღვევს და მიბელავს:  
    ორფეოსის<sup>1</sup> სიმღერა,  
გეა,<sup>2</sup>  
    იო<sup>3</sup> და ჰერა,<sup>4</sup>  
    ხუ<sup>5</sup> და რეა-კიბელა.<sup>6</sup>

1960

---

<sup>1</sup> ორფეოსი (ბერძ) – მითიური მომღერალი

<sup>2</sup> გეა (ბერძ) – მიწისა და ქვესკნელის ქალღმერთი

<sup>3</sup> იო – (კოლხ) – ზევსის მეუღლე

<sup>4</sup> ჰერა (ბერზ) – ზევსის უფროსი და მეუღლე

<sup>5</sup> ხუ (ქალდ) – მშობიარობის ქალღმერთი

<sup>6</sup> რეა კიბელა (ბერძ) – ღმერთთა და კაცთა დედა



## ალბათ

ნეტა, რას მოასწავებს,  
ამ არეულ ქაოსში,  
ხშირი ხილვა ნოესი?  
ყველაფერი შორსა ჩანს,  
მაგრამ...  
ალბათ წარღვნის გზა –  
არის უახლოესი.

2016



\*\*\*

მარადისი ძილით მოვრადებს,  
ფიქრთა სანთლით კვლავ  
შეუვლის,  
და მოვლემარე დილის ღოცვა –  
ღამე თეთრად ნათევს შვენის.  
ცეცხლითაა ის სნეული,  
ნათელხილვის,  
ნათელსმენის.

2009





## პოეტის სული

ბიბლიიდან უცხო ხმა რომ ისმის,  
აღბათ,  
სულს უხმობს  
ესავი.  
ღღე – ყველა სასწაულია,  
ზეცა კი პოეტის სულია,  
მარადის უქრობი –  
მზესავით.

1960



## თუთარჩელა<sup>1</sup>

ვარსკვლავებით გადაბურულ  
ცის ტაძრიდან –  
ციურ ლოცვად  
ცვივა ნამი,  
რწმენის ხისგან ნათალი,  
და დაცქერის მიწას ღამე,  
კიკლოპივით ცაღთვალას.

1958

---

<sup>1</sup>თუთარჩელა (მეგრ) – მთვარიანი ღამე



\*\*\*

არსებობ ჯვარზეცმულ მაცხოვრის  
იმედით,  
ამაქვეყნიურ სიამის მგმობელი.  
აღარ გსურს დიდება  
კაფკას და მარკესის.  
თუმც შენი დღეები ტოტს ჰგვანან  
მობელილს.  
კვლავ იხედები გონების სარკეში  
და ჩირად არ გიღირს  
სახელი ნობელის.

1913



\*\*\*

სულ მალე გაიგებს სამყარო,  
ამჟვეყნად ვინ რა და  
ვინ არის!

წამს ელის უამთასგლის მოხელთვის:  
ფაზისი, მითებად მდინარი,  
ლეგენდის ბურუსით  
მოცული კოლხეთი.

1962



**ხილვა: იოანე ოქროპირი და  
წინასწარმეტყველი მალაქია**

მტკვარ-არაგვის შესართავთან  
რომ დასცქერის –  
მაღლივ ჯვარი,  
მცხეთას,  
იგი უძველესი,  
ღვთისმოსავი ქალაქია...  
მასზე შორით ღოცულობდნენ:  
იოანე ოქროპირი...  
ქალღეველი მალაქია.

1964



## ზამთარი სვანეთში

უშბას და შხარას მთებს შუა,  
მთვარე ჩანს –  
როგორც მწვერვალი,  
ჯერაც უცნობი და უსახელო!  
და... მაღლა იწევს  
თეთნულდი,  
თოვლის ქათქათა საყელოს!

1961



## კოსმოგონია

ჰომეროსიც,  
რუსთველიც,  
სხვა არის და...  
სხვები კი,  
სამყაროს ვერ შეცვლიან,  
რადგან დითირამბები  
პოეზია ჰგონიათ!!!  
შენთვის ლექსი ცეცხლია,  
არის კოსმოგონია<sup>1</sup>.

1961

---

<sup>1</sup> კოსმოგონია (ბერძ) – სამყაროს წარმოშობა



## კოლხასა და ბაბილონს

არის ჭეშმარიტება...

მაგრამ ზოგს თუ ემცხეთა:

რომ ჩემად ვთვლი ქალდეველთ,  
ეგვიპტელთ და ქანაანელთ...

კოლხასა და ბაბილონს,

პონტოს,

თბილისს და მცხეთას...

ქრისტეს...

რწმენას...

და მირონს...

1960





\*\*\*

საიდანღაც მოსული

ქარი ღრუბლებს აბურღავს,

ზე-ცას ფერი ეღება

დამჭკნარ იასამანის.

შიში უდგათ მუხლებში:

ზღვას – დემონთა

საბუდარს,

მიწას – ცოდვის სავანეს!

1965



## ხეთი, ფუტი

ფაზისის და პონტოს პირას,  
ხმა რომ ისმის ყოველ ღამით,  
აღბათ ნოეს<sup>1</sup> შეიღლი არის,  
ოთხი ვაჟის მამა – ქამი.  
ის დაეძებს ნაშვიერებს,  
ათასწლეულია ხუთი.  
და კვლავ უხმობს – სად ხართ: ქანაან!  
ქუში!  
მიცრამ!  
ფუტი!

1962

---

<sup>1</sup> «ბიბლიურ ნოეს სამი ვაჟი ჰყავდა: სემი, ქამი და იაფუტი. შუათანა ბიჭს – სემის – ოთხი» (ბიბლია, თავი 11,15)



## ზღვა და სოფელი

სიცოცხლის და სიამის,  
მარად უარყოფელი...  
(სიგიუა, ღმერთმანი!)  
როგორ ჰგვანან ერთმანეთს  
ზღვა და...  
ესე სოფელი!

2001



## ასფოდოლი

შორეულ წარსულის მინდორზე,  
რომ ამბობს კოლხურად სიმწვანეს,  
მედეას მკურნალი “მოლია”,  
რომელსაც აქ აჩენს ბუნება...  
შენი სტრიქონები  
“ასფოდოლია”<sup>1</sup>,  
რომლითაც ხალხები იკურნება.

1975

---

<sup>1</sup>“ასფოდოლი” (კოლხ-ბერძ) – “ასფოთოლა”, მოლი, მედეას სამკურნალო ბალახი



\*\*\*

წარღვნიდან გადარჩენილთ,  
ვინც უძლოდა წინ ღამპართ,  
რომ ეპოვათ სიმყუდროვე –  
კოლხ-იბერთა წინაპარი,  
ბიბლიური იყო ნოე.

1968



**ფაზისი (კოლხეთის) აკადემია –  
1800**

ჯერ ჰე,

როდის... 1800

წლის წინ კოლხეთს,

აქ ფაზისთან,

უსწავლია ორ გენიოსს –

ფილოსოფოს მამა და შვილს –

თემისტიოს,

ეპენიოს...

1996



**ხილვა: წმინდა ისაკ ასური**

მეათე ცის კაბადონზე –  
ლოცვის კიბეებით ასულს,  
და სიშორის მაღლით მოსილს,  
უფლის მონა ისაკ ასურს –  
უგალობენ ანგელოზნი.

1957



\*\*\*

კოლხ-იბერთა ისტორია,  
ვით დელფინი გარიყული.  
ხსოვნის ზღვისპირ –  
სულს ძლივს დაფავს.  
ბიბლიიდან ვიღაც უხმოდ,  
პონტოს პირას ჩუმად  
უხმობს  
ნოეს,  
როგორც პაპის, პაპის,  
პაპის, პაპას...

1958





## კოლხური ოდა

კაცის არა,

უფლის ხელით,

ნაქარგია კოლხურ ოდის

ეს რიკული...

და ეს ლექსიც – “ეზო<sup>1</sup>” – არა,

არის “ეზოთერიკული<sup>2</sup>”.

1958

---

<sup>1</sup> ეზოტერიკული (ბერძ) – გარეგანი, გარეშე) –  
დაუფარავი, რაც განკუთვნილია ყველასათვის

<sup>2</sup> ეზოტერიკული – (ბერძ) – შინაგანი, საიდუმლო,  
დაფარული



**კოლხეთი – VI-ე საუკუნე**

მათი სიტყვის სიღიადეს,  
მზის ბეჭედი ისევ აზის,  
ინახავენ მტკიცედ დრონი,  
ერთის არა,  
ორად ორის,  
ორი დიდი ორატორის –  
“ორი კოლხი ციცერონის” –  
აიეტის და ფარტაზის.

1959



**ხილვა: სვიმეონ ღვთისმეტყველი  
და ნეტარი აგუსტინე**

ვით სვიმეონ ღვთისმეტყველი  
და ნეტარი აგუსტინე  
(მეც ღამეებს თეთრად ვათევ)  
და ველი ღვთის ციურ ნათელს, –  
ჩემთვის თვალისჩინის  
წამრთმევს.

2009



\*\*\*

შორეთს მიმავალი ათასწლეულები  
მხრებზე ასწლეულებს გადიშლიან  
და მიუვალ კლდეებზე აწერენ:  
რომ ეგროსი,  
ქართი და ხეთი,  
ნოეს ბადიშის  
ბადიშია.

1970



**ხილვა: ფუთი**

თვით ქრისტემდე...

იქით ათასწლეულთა...

როცა ზოგი მძორს რომ ჭამდა,  
სწორედ მაშინ,

სიუხვით და ბარაქით,  
“ემერთ” (მეგრელთ) და ლაზ-ჭანთა,  
“ფუთი”<sup>1</sup>- (ფოთი) იყო  
დედაქალაქი.

1958

---

<sup>1</sup> ...მიქელ ასურის სომხურ თარგმანშიაც ფუთი (ფოთი ვ. ე.) მეგრელთა დედაქალაქად არის დასახელებული”.  
ივანე ჯავახიშვილი  
“ქართველი ერის ისტორია”  
(ტ. II, გვ.48. 1949 წ.)



\*\*\*

პირამიდის “ოსტატებთან”

და ეგვიპტულ ქურუმებთან –  
ახლო – მახლო გიდგას  
“ქოხი”,

მაგრამ მათი “სრა-სასახლის”

წინ,

არ ჩაგივლია მოხრილს.

2016



\*\*\*

პოეზიის დიდგორის ველზე  
დიდხანს იბრძოდი  
და ბრძოლებში “ივარგე”!

შენც,  
ვით დავით მეოთხეს,  
ფარულად,  
სულ თან გახლდა,  
უწმინდესი “გივარგი”.

1994



**ფაზისს – ჰელიოსის ძეგ**

უნდა დაგაქორწინოს  
    ღმერთკაც ნილოს<sup>1</sup> ასულზე –  
    უფლის მადლით მოსილზე.  
პონტოს სანაპიროზე –  
    აიეტი დაგვეძებს  
    ფაზისს<sup>2</sup>! –  
    ჰელიოსის ძეგ!

1964

---

<sup>1</sup>ნილო – მდინარე ნილოსის ღმერთი

<sup>2</sup> ფაზისი და აიეტი – მზის ღმერთის – ჰელიოსის  
ვაჟები





## თეთრი ბიოჯი

რადგან გესმის თეთრი მხედრის,  
თეთრი რაში ჭიხვინი,  
მოქათქათე რწმენის თოკით,  
პონტოს პირას დაები.

სულის თვალით –  
იქ იხილავ,  
ნათელს – ბნელს და ღვთაებრივს.

1969



## საქართველო არის ცეცხლი

ქუხილის და “მეხთმტყორცნელის”,  
არ გაშინებს რისხვა ზევსის  
და ვით ამირანი, კაცობ.

საქართველო არის ცეცხლი  
და ღმერთს უნდა  
გამოსტაცო!

1971





“პილხა”, “გულხა”, “კოლხა”

გარდასულთა ქარს მოაქვს,

გმინვა...

კენესა...

და ოხვრა...

აღბათ, ქაღდევკელები –

არყოფნის ზღვას ერთვიან...

“კილხა”,

“კულხა” და

“კოლხა”,

ვით სამეზა, ერთია!

1965



\*\*\*

ღღისით თაფლის სანთელს უნთებ,  
უპირველეს შენს საესავს.  
ღამით ღოცვით გითრთის ბაგე.

ცაში –

მნათთა რწმენას თესავ,

ზღვაში –

სიბრძნის ტაძრებს აგებ.

1967




## ხეთა

ჩემს ხეთაში ვარ და მიწაზე  
ვეღარ ვებტევი,  
რადგან ხმა მესმის წინაპარი –  
ძველი ხეთების<sup>1</sup>  
და მელოდება ღია  
ორმო ცის.  
და მიიღია წელი ორმოცი,  
რაც მოსესავით  
უდაბნოში დავეხეტები!!!

1981

---

<sup>1</sup> ხეთა – პრესტორიული სოფელი ხობის რაიონში



**თბილისი – შოთი**

მატარებლის ფანჯრებიდან –  
ახლოს მტკვარი  
და დიდუბე,  
შორს კი მთვარის თვალი ჩანს.  
და უფრო შორს –  
ღამე ღრუბელს,  
ფენს, ვითა ძველ ხალიჩას.

1956



**მ ა შ ი ა**

საქართველოს დიდ წარსულზე  
კრეფენ მხოლოდ ნარ-ეკალს  
(თითქოს მეფობს მაფია!),  
რადგან არ სურთ გარკვევა,  
კოლხთა დიად ისტორიულ  
დიდი გეოგრაფიის.

1969





70

სიბერის და სიჭაბუკის

შუა,

ჟამი ჩადგა ბჭობის!

ხან გაცხელებს,

ხან გაციებს.

და ჭვრეტ ინიციაციებს

“ვეფხვის ტყავით გადაჭდობილს”.

2001



**ოსია წინასწარმეტყველი**

ბიბლიაში გედგა ქოხი  
და უბნობდი იგავურად,  
ღვთის მონა და უმეცარი.  
და “ხილვებიც გაამრავლე”,  
ვით ოსია –  
ბრძენ-მენცარმა.

1985



## ბოდების კედელი

ოთხასი წელი გავიდა,  
რაც ხმალთა მღერა გაისმის,  
ნიადაგ შეუწყვეტელი.  
რაც ქართველთათვის –  
კრწანისი  
არის “ბოდების კედელი”.

1959



**“კილხა” (კოლხეთი)**

**ჩვ. წ. XIII ს.**

მეფემ გასაკვირველმა,  
თიგლათფილესერ-I-მა<sup>1</sup>  
პოეტ ჰომეროსამდე<sup>2</sup>  
ადრე, წელი ხუთასით,  
“კილხა” – იგივე კოლხეთი –  
მან ახსენა პირველმა.

1962

---

<sup>1</sup> თიგლათფილესერ I (ძვ. წ. XII-XI ს)

<sup>2</sup> ჰომეროსი – (ძვ. წ. VIII ს)



**საქართველო, სამეგრელო**

საქართველო სიყვარულის ტაძარია,  
სამეგრელო მზით მოსილი  
კელია –  
მითების და ლეგენდების მომცველი,  
სად, ზღვისკარად მუხლმოყრილი  
მლოცველნი,  
ქრისტეს მოსვლას მეორედ რომ ელიან...

1960



**შენა ხარ კოლხი თეზეუსი**

უშიშარს, ვითა უხორცოს,  
შენ გაქვს საუნჯე ულევი  
და როგორც კოლხი თეზეუსი<sup>1</sup>,  
იმედად შენ ეგულები –  
მენავეებს და  
მეთევზეთ.

1989

---

<sup>1</sup> თეზეუსი – ბერძენთა ყველაზე დიდი ეროვნული გმირი, პერაკლეს მერე



## ცა და მიწა

მნათთა ყაისნალებით,  
ოქრო-მკედით მოქსოვილს,  
მზე ცად ბუდეს იკეთებს.  
და ყოველდღე მზე გვაძლევს  
ჩვენ –  
მიწიერ სიკეთეს!

2016



**ხილვა: სომეხი ღვეონდი და  
მიქელ ასური**

ცხრა საუკუნის წინათ,  
სომხთა მეისტორიე ღვეონდი  
და მიქელ ასური  
(რომელთა ხმა წარსულიდან მოდის),  
ამტკიცებენ: სამეგრელოს –  
დედაქალაქი იყო “ფუთი” –  
(დღევანდელი ფოთი).

1958





## სჰვია

სოფლის ახლოს ფეხშიშველი  
მიტანტალებს ტყეში სჰვია.<sup>1</sup>  
და უმშვენებს მხრებს არილი.  
თოხის ტარზე გამოკრული –  
საგზალივით,  
დამეს მოვარე სადღაც მიაქვს.

1957

---

<sup>1</sup> სჰვია – ღელე სამეგრელოში



## პონტოს პირას ღვას ჩინარი

ცაში მთვარე...

და ზღვაში კი,

მღვრიე ზვირთთა ეს ლოდები –

ცივ წყვდიადში იძირება...

კანკალებენ მთის ძირები.

და ყველასგან უჩინარი,

პონტოს პირას ღვას ჩინარი

და გაზაფხულს ელოდება.

2016



## ცაა მარადიული

გზაზე იღუმალების  
სული მარად იურვის,  
რადგან მარადისობის  
შეკვლევა  
და შეგზურიც,  
ცაა მარადიული.

1964



\*\*\*

სადღაც,  
წარღვნის იქიდან,  
ხმა მოგესმის ნოესი,  
ვითა სისხლის ყივილი,  
შორეული მისხო-მისხის,  
მაგრამ...  
უახლოესის.

1969



## ჰელიოცენტრი

ვითარც ჰელიოსის ძეს –  
აქციას და აქციუსს,  
ეგვიპტეში კი არა,  
გსურს, აქ, ქართულ მიწაზე  
შეჰქმნა “ჰელიოცენტრი”  
და მიწა –  
ცად აქციო.

1960



\*\*\*

შეგციცინებ ქართულ ცას,  
ვითარცა ჩემს ახლობელს,  
სადაც ჩემი და-ძმები,  
უკვე ოცი წელია,  
არიან და...  
სახლობენ...

2016



\*\*\*

გვიან...

მაგრამ ოქროსფრად,

მაინც ამობიბინდა

ყანა, სიბრძნით ნათესი.

უფლის მადლით აივსე...

და ვით გაითავისე,

შენ,

საუფლო ჰადესის.

2016



ისევ “გოდების კედელი”

აი,

აქ, საგურამოსთან,

ასი წლის წინათ ნასროლი

თოფის ხმის ექო გაისმის,

რომელიც ქართველის მთა და ბარს

წუხილის ნისლად ედება...

წიწამური, ვით კრწანისი,

არის “გოდების კედელი”.

1961





\*\*\*

მზის და მთვარის თვალეზა

ცა –

უფალი ღმერთია!

და სიშორემ გაკოცა.

მიტომ შენთვის ერთია –

ეს სამყარო ღამაზი,

მიკროცა და მაკროცა.

1980



“კულხა” “ღიაუხია”

ჩემი ძველი კოლხეთი,  
დიდი ძმებით უხვია,  
რომელთ ჩუმად ამხელენ,  
წარწერები ღურსმული,  
სადაც არს გაღურსული,  
კოლხ ორი ძმის სახელი:  
“კულხა”,  
“ღიაუხია”.

1959



\*\*\*

ცაა შენი მამული,  
მნათთა ოქროს სარებით  
შეღობე და  
შემესრე.  
და ვითა ღვთისმოსავმა,  
“კაცის ბუნებისათვის” –  
აღუვლინე ცად მადლი,  
ნემესიოს ნემესელს.

1965



\*\*\*

შენ როდესაც დაიბადე,  
აემგზავრა ვარდს  
კაალი  
და წარსტაცა ფერი მოცხარს,  
რომ მარადის –  
არ გეცოცხლა!  
ერთხელ მაინც მოეკალი.

2014



\*\*\*

მირიადი წელია,  
ბრუნავს დროის გელაზი...  
დედამიწა კვლავ იძვრის...  
განა მარტო ტაძრისგზის,  
შენ მგზავრი ხარ –  
ყველა გზის.

2014



## ეკლესია და კუროსთავებს

დღისით მზეს და ღამით მთვარეს  
ცა თავს ურტყამს უროსავით,  
ადამის ძეთ “ცდომისათვის”  
და მიწა კი მათ უგზავნის  
ეკლესია და  
კუროსთავეებს.

2010



\*\*\*

ყოფნა სხვაა...

არყოფნა კი,

შუკა-შუკა დაღაველებს,

და ვით გარეთ,

შინაც ურევს...

შენ კი, ჩემო,

ვით დღე-ღამე,

ორივ გაიშინაურე.

2014



## რიცხვები

სად ვარსკვლავთა ჰყვავის ბაღი,  
იქ ყოველთვის ფიქრი  
მუმლობს.  
ქვეყნად ყველა საიდუმლოს  
ცხრა ციხისკარს  
და ცხრაკლიტულს,  
შენ ბაჯადლო რიცხვით აღუბ.

2011





**ხმა იღუმალი**

ვით ჰელიოსის ნაშიერს

და ვარსკვლავებთან წილნაყარს,

უფლით ნათელით შემოსილს –

ნება გაქვს –

მეცამეტე ცის –

ნათლის წყვდიადში შემოსვლის.

1967



## ვითარც ეკლესიასტუს

დედა-მიწის შვილი ხარ,  
ისე, ვით ანთეოსი!  
შენს “მეს” აღბათ ოდესმე,  
შური, ეკლებს მიახვეს,  
ბნელი ნათლით შემოსილს,  
ვითარც ეკლესიასტუს.

2016



## ზეციური კოლხეთი

გამარჯვების ყიჟინას –

სალ კლდეებზე ჰკიდებდნენ:  
თურქნი,

სპარსნი,

არაბნი

და სპა სელეკიდების...

მოხვედრია რამდენი შუბი

ოხერ-მოხეტის...

მაინც იდგა ზღვისკარად –

ზეციური კოლხეთი...

1965



\*\*\*

სადღაც, ზღვისპირ მდგარი მწუხრი,  
ოქროდ ნაჭედ ვარსკვლავების  
ზარს არისხებს, როგორც  
მნათე.

და საავდრო ღრუბლებს აშლის.


შენ,

უშობელს ხედავ ნათელს,

მზეთა მზეში,

ცათა ცაში.

1973



## ენბური

სისხლი მართებს...

და სამ ძმას –

შხარას,

უშბას

და თეთნულდს,

ლამით გამოქცეულის –

ხმა მოგესმის ენგურის,

როს აწყდება ბუმბერაზ მთათა მაღალ

შვეულებს...

შენ კი სული კოლხური:

ჭანურ-ლაზურ-მეგრული –

შენში განასხეულე...

1958



**ისმენ სხვათაგან არსმენილს**

სიტყვის მაღლი და მირონი,  
ნედლს კი არა,  
ხმელს ასხურე.  
და კოლხეთს “ჯადო” ახსენი!  
მამა ძისგან “ხელდასხმული”,  
ისმენ სხვათაგან არსმენილს.

1960



\*\*\*

შეხედე ცას უსაზღვროს  
და შიგ მცოცავ მირიად  
სფეროებს და პლანეტებს,  
დღე-ნიადაგ რომლებიც  
თავს ერთმანეთს ამეტებს,  
ვით მეფე და ვით მეფის  
ვაზირი და ნაცვალი.  
შენ ვინა ხარ, პოეტო,  
როცა დედამიწაა მილიონჯერ  
პატარა,  
ქვიშის ციციქნა მარცვალის.

2001



\*\*\*

ხან წყნარი და

ხან მრისხანე,

ქარიც ხარ და ქარიშხალიც –

პონტოს ზღვიდან ატეხილი.

ელვა შენი ხაზი არი.

ცა მფარველობს “ნათელხილვით

ავადმყოფს და...

“ნაზიარებს”.

1969






\*\*\*

ქვეყნად წამით მოსულხარ!  
ჩუმად უნდა იყო და...  
შენ ნიადაგ ხმაურობ,  
როცა უსამანო გზა  
გიღევს –  
სამოგზაუროდ...

2016



**მზე**

ოქროს მომავალია  
და განა წარსულია,  
რომ ველით და...  
არ მოდის!  
თუმც მზე – ქრისტეს სულია,  
ბნელს რომ დილით ამოსდის.

1963



\*\*\*

ველარ მოაცილე მიწას,  
გლოვისფერი ცის თავშალი,  
ვერც წვიმა და  
ვერცა ქარი.  
ვერ იქნა და ვერ წაშაღე –  
ცას და მიწას  
შორის ზღვარი.

1989



## ბიბლია და სახარება

შენ ღმერთი ხარ,  
ღმერთი შენში,  
მეტი კაცმა არ ინატროს.  
ხარ “ადღეომა” და “ხარება”,  
შენში ცოცხლობს  
და ბინადრობს  
“ბიბლიაც” და “სახარებაც”.

1963




## არგოსი

“არგოსი – ზოგჯერ მთელ ელადას ეწოდებოდა”  
ჰომეროსი

აიეტის შვილიშვილი  
გმირი იყო, ვით ჰერაკლე,  
მისი ოქროს ფარ-შუბი კი,  
ყველგან იყო და ელავდა,  
- მოყვასს ტაძრებს უგებდა, და  
მტერს გრაგალებ –  
მიბელავდა...  
და სახელი – “არგოსი” კი,  
მიტომ ერქვა მთელ ელადას.

1963



## ლეთე

ლეთე<sup>1</sup> ცრემლია დავიწყებულთა,  
ბნელ ქვესკნელში რომ მიედინება,  
და ალბათ მიტომ ისმის გოდება...  
იქ მომაგალი უკვე წარსულობს,  
სულსმიღევით –  
იქ გველოდება –  
გზა უძნელესი და უსასრულო...

2009

---

<sup>1</sup> ლეთე (ბერძ) – თავდავიწყების მდინარე მიწისქვეშა სამეფოში



**უფლის ღოცვა-კურთხევა**

მზისებრ უნდა იხაროს –  
საქართველოს მიწა-წყლის,  
ყველა კუნჭულ-კუთხემა,  
რადგან იგი ოდიოგან –  
მშობლიური ცით იღებს  
უფლის ღოცვა-  
კურთხევას.


1989



**ხილვა: საყდრისი**

ხუთი ათასწლეულთა  
იქით,  
ღამის წყვდიაღში,  
მზის ქურაში ვარსკვლავებს  
ხალებები აღნობენ...  
და შენც “ოქროს სტრიქონებს”  
ასხამ “კოლხურ” ყალიბში,  
უფლისაგან “განდობილს”.

1999





**მშვიდთა მიწა  
(ხმა იღუმალი)**

არ გიღირდეს უნდა ჩირად  
მეფის გვირგვინი და ტახტი  
და არც ოქრო-ვერცხლი მდიდრის.  
მთავარია, უნდა გახდე  
(ვით წმინდანი და ნეტარი),  
ბოლოს “მშვიდთა მიწის” მკვიდრი.

1998



## ხილვები

მზერა – ქვევამხედვართა,  
აღარ გაკრთობს ფარული,  
რადგან შენი ხილვები  
არის კოსმიური და...  
თანაც პლანეტარული.

1979



**ბეჭრამბური და დილარამი**

მწველი იყო,

მაგრამ მაინც,

სულ სხვა იყო დილა დამის:

არც ტრისტანის და იზოლდას,

არც დეგრიეს და

მანონის,

სულ სხვა იყო სიყვარული –

ბეჭრამბურ და

დილარამის.

1959





## ბათენება

ვარსკვლავებით დახურულ,  
მზე ზის ღამის ჭალაში  
და ბნელი ვერ აშინებს.  
ცა კი მთვარის შალაშინს  
უსვამს მამლის –  
ეივილზე –  
დილას აშალაშინებს...

1958



## ჰიეროგამია

სკიპტრით,  
მეფის პორფილით,  
ზისარ მთვარის ჭალაში,  
არ ჩანს დილა...  
ღამეა.  
და შენ, როგორც მზის შვილი,  
ქალწულ ცისკრის ვარსკვლავთან –  
ელი ჰიეროგამიას<sup>1</sup>.

1964

---

<sup>1</sup>ჰიეროგამია – საკრალური ქორწინება.



\*\*\*

შენი ოქროს დღეები,  
აღრე რკინის მკვნეტავი,  
ახლა უძღურებია...  
შენი “ფსალმუნები” კი,  
ქარიშხლებით გაღეშილ,  
პოეზიის მძვინვარ ოკეანეში,  
გაფანტული ციციქნა კუნძულებია.

2009



\*\*\*

მღვდლებმა,  
ფარისევლებმა,  
პაულეს ტყავი გააძვრეს,  
ვით გამყიდველ მკვლელ პეტრეს  
და ცას ჭერი ახადეს!  
შენ კი უნთებ კელაპტრებს –  
“ძველ დღესა!” და  
“ახალ დღეს!”.

1966

---

<sup>1</sup> “ძველი დღე” – ღმერთია ბიბლიაში, არეოპაგელთან.

<sup>2</sup> “ახალი დღე” – მესიაა დ. გურამიშვილთან.





**მებრულ – სვანურ – ლაზური**

დედა ენა ქართული,  
მტკვარია და ფაზისი,  
მისი შენაკადები,  
ვით იორი,  
ენგური –  
არის ენა სვანური,  
ლაზური და მეგრული –  
ეს ენები ოქროზე  
არის უძვირფასესი.

1963



**ხილვა: მარია ღვთისმშობელი**

როცა კაბადოკიის  
ღამის ცისკარს მოვხურავ,  
სადაც ანგელოზები –  
უფლის მოსვლას შიშობენ:  
ფიქრში ვხედავ ღვთისმშობელს,  
ვით უგალობს კოლხურად  
თავის პირმშოს “ნინენას”.

1962



\*\*\*

პოეზიის მეფესთან,  
ვით ზევსის ძე ჰეფესტო,  
ბევრჯერა ხარ ნარკენი,  
კაცი რკინის მკვნეტელი.  
ზესკნელ-ქვესკნელ-შუასკნელ –  
საიდუმლო სარკმლებში –  
შენ ერთი ხარ მჭვრეტელი.

1977




## სამუშეილდე

“მანვე (ქართლოსმა – ვ.ე.) აღაშენა ციხე ორბის,  
რომელსა აწ ჰქვია “სამუშეილდე” (ძვ.წ. IV ს.)  
ლენტი მროველი

ორი ათასწლეულის  
მერეც, ჩემი სამშობლოს  
არ იქნება ცა მშვიდი,  
რადგან ისმის უცხო თესლთა  
შემზარავი ყაყანი...  
რადგან ითხოვს ურჯულოთა  
პირმშო ხელში აყვანას –  
სანახებში “სამუშეილდის”.

1960



\*\*\*

თოვლის თეთრი სიმღერა,  
ისე, როგორც ჭაღარა,  
შეპარვია ნოემბერს.  
ვიღაც უმზერს ზღვის დეღვას,  
და ქარში თმებგაშლილი  
ნატრობს წარღვნას –  
ნოემდეღს.

1963



**ხილვა: კირკე და პასიფა**

ჭკუითა და სილამაზით  
დედამიწა რომ აიკლეს,  
და სხვა ქვეყნის მეფეთათვის  
თავებიც რომ “გაიმეტეს” –  
პასიფა და კირკე –  
დები გახლავთ კოლხ ხელმწიფის –  
მითიური აიეტის.

1961



**შენი მთავი**

ზღვის კარად მღვარ შენ მთებს  
მხრები,  
მეცხრე ცამდე აუზიდავთ,  
და სინათლის წყაროს სვამენ –  
უძველესი კოლხური ცის,  
დაუშრეტელ აუზიდან.

1958



**ხილვა: მარდუქი და ტიამიტი**

პონტოს ზღვიდან ამოსულმა,  
ხელში სინამდვილის შუბით  
ლეგენდა და ძლია მითი,  
ისე, როგორც ღამე,  
დილა,  
ვით მარდუქმა<sup>1</sup> ტიამიტი<sup>2</sup>.

2000

---

<sup>1</sup> მარდუქი – ბაბილონელთა უზენაესი ღვთაება  
(ძვ. წ. 2600 წ.)

<sup>2</sup> ტიამიტი – ბოროტი ღმერთი.





## პოეზიის პოეზია

უკვდავების ელექსირი,  
დაფნის მწვანე რტოებზეა.  
შენს “ფსალმუნს” კი,  
ვიდაც უხმოდ,  
ვით ათასი გულში უხმობს –  
პოეზიის პოეზიას.

1991



**ხილვა: “ფილოკალია”**

ახლა არვინ კითხულობს,  
ვინ იყვნენ და  
ვისი გორის,  
სული,  
ვინ სად დალია.  
ახლა უფლის მსახურნი,  
ვით ღვთის ტაბლას უსხედან,  
ორი კოლხი წმინდანის –  
ბასილის<sup>1</sup> და გრიგოლის<sup>2</sup>  
დიდ წიგნს – “ფილოკალიას”<sup>3</sup>.

1964

---

<sup>1</sup> ბასილი – ბასილი დიდი.

<sup>2</sup> გრიგოლი – გრიგოლ წინასწარმეტყველი (IV ს.)

<sup>3</sup> “ფილოკალია” (ბერძ.) – სიკეთის მოყვარება.



## ალგებრული და მათემატიკური

უფლის ხელებით ნაგები და,  
მლოცველთა ღოცვებით  
დახურული,  
შენი “ფსალმუნები” ტაძრების,  
შოთრეული და ანტიკური...  
სტრიქონები კი –  
ფორმულებია  
ალგებრული და მათემატიკური.

1960



## ნუკას საყდარი

წარსულის ქვაბი აქ კვარჩხალებს  
და ღუმან მთები და ბორცვები...  
მხოლოდ მდინარე კვარჩხალის  
შიში აქვს წვიმის და ავდარის...  
და კლარჯეთს ცად ილტვის  
ოცნება,  
ვით ნუკას საყდარი.

1963



## აღგომის კუნძულზე

როს მკვდარ ათასწლეულთა,  
სარკმელს ჩუმად გავაღებ,  
კუნძულიდან აღგომის –  
ჰანგი მესმის კოლხური,  
რაც ჩემს ფიქრებს ამძიმებს,  
რადგან ჩემთვის კოლხეთი,  
არის “ოქროს საწმისი”,  
“გრაალიც” და “ბარძიმიც.”

1966



**ხილვა: ანტონ დიდის “სწავლანი”**

ვიღაც,

წუთისოფლად მოსვლას,

და არ პოვნას საგანის

(უფალს გულში ამუნათებს),

თუმც მორწმუნედ გზას უნათებთ –

ანტონ დიდის –

“სწავლანი” (IV ს.).

1966



## ორი ბასალბი

შორს,

სადღაც ზესკნელს და  
ქვესკნელს შორის,  
არარაობის გრიალებს ქარი.

და...

ზე-სამყაროს გასაღები  
უფალს აქვს ორი:  
დღეს – მზით და  
ღამეს – მოვართ.

1959



**პირკმე, ნანა, რეა-კიბელე  
(ზარიანტი)**

დავიწყების მდინარეს

თანდათან რომ ერთვიან,

მერე ჟამთა მორევში

თავი რომ დაიბერეს –

კოლხებსა და იბერებს –

ესმოდათ, რომ ერთია:

კირკე,

ნანა,

კიბელე<sup>1</sup>.

1990

---

<sup>1</sup> რეა-კიბელე – ღმერთთა და კაცთა ღმერთა.





## სასაფლაო

ჟამთა ნიაღვარს წაუშლია  
ლოდზე წარწერა  
(ო, ეს როგორ ჰგავს ურდლოთაგან  
ქართველის აკლებას!),  
მწუხრის ქარები დავიწყების ჰანგებს  
არწევენ,  
მერე ფანტავენ ცაში ფიფქებად, –  
სადაც არყოფნის ნაკადული  
მიიკლაკნება...  
კიდევ ცოტაც და...  
ეს ლოდებიც აღარ იქნება...

1999



**ბუბაზს, ცოტნესა და წათეს**

გარდასულ ათასწლეულთა –  
კოლხური ცის გაგწევ ფარადს  
და კოლხეთზე ღამენათევს:

ვჭკვრებ: აიეტს,  
ქუჯს და  
ფარტაზს,

გუბაზს,  
ცოტნესა და  
წათეს...

1968



**მზე და პლუტონი**

(N-ს)

ის ვითარცა პოეტი,  
ჯერ არ აღმოჩენილი  
არის უცხო პლანეტა  
და თავს ნუღარ უტოლებ!  
რადგან თქვენ ერთმანეთთან  
ხართ,  
ვით მზე და პლუტონი<sup>1</sup>.

2015

---

<sup>1</sup> პლუტონი – მზისგან ექვსი მილიარდი კილომეტრის დაშორებით იმყოფება.



## გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი მ ი ა შ ი

არაგვის პირ ჩამომდგარან მთები,  
და უპყრიათ გაზაფხულის  
ფუნჯი,  
მზეს სატავენ –  
მანათობელს დილის.

მეც,

ვით ვაჟა, ლექსით სავსე ხურჯინს  
ხელთ ავიღებ და ვეწვევი  
ჩემს საყვარელ  
თბილისს.

1963



**მზე**

უძრავ ვარსკვლავების ცის –  
იქით,  
სადაც სასრულის,  
უსასრულო კიდეა,  
სწორედ მე იქ მეგულის –  
მილიონჯერ მზეზე დიდი  
ვარსკვლავი,  
მაგრამ...  
ჩემთვის მზე ყველაზე დიდია...

1969



## ქეთევან დედოფალი

კაცი იყო და...

პიეტრო დელა ვალემ<sup>1</sup>,  
ისე, როგორც ქრისტიანმა,  
მოიხადა თავის ვალი.

დრო გავიდა ამის შემდეგ  
ოთხჯერ ასი,  
რაც ქეთევან წამებულის  
ნათელი დგას მონასტერში –  
გოა-გრასის<sup>2</sup>.

1971

<sup>1</sup> პიეტრო დელა ვალე – იტალიელი მოგზაური, რომელმაც დაწერა: “მისი (ქეთევან დედოფლის – ვ.ე.) წამება იყო

უდიდესი სისასტიკე, რომელიც შაჰ-აბასს ოდესმე ჩაუდენია”.

<sup>2</sup> გოა და გრასის მონასტერი (ინდოეთი), სადაც ინახებოდა ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილები (XVII ს.)

## ანთროპოგენცენტრული

გალაქტიკის სიყვარული

შეგეყარა, ვით სახადი

და ბედს ნუღარ ემდური.

პოეზია შენ გახადე –

ანთროპოგენცენტრული.<sup>1</sup>

1963

---

<sup>1</sup> ანთროპოს – ადამიანი და გენ – დედამიწა, მდებარენი სამყაროს ცენტრში



**ხილვა: კოლხეთი III-IV სს.**

ზღვისკარად მდგარს მარტოდმარტოს,  
ვით კოლო და  
ან ვით მუმლი,  
ეხვეოდა კოლხეთს მტერი,  
რადგანაც მას “საიდუმლო  
სკოლა” ჰქონდა ფაზისისპირს,  
ამბობს რუდოლფ შტაინერი.

1966





## ლტოლვა

“სულს წყურია საზღვარი,  
როგორც უსაზღვროებას”.  
გალაკტიონი

მომავლისაკენ მიილტვი  
და წარსულს აღარ ბარდები!  
იქ ცხოვრობ,  
სადაც ჰკიდია –  
გალაქტიკები ფარდებად!  
და ფარდებს იქით სახლობენ  
ვარსკვლავთა მილიარდები.

1964



## საქართველო

ავი ასწლეულები,  
აკვანივით არწევდნენ,  
ლეგენდებში შეფუთვნილს...  
დღემდის მაინც მოვიდა  
საქართველო ცელ-გუთნით,  
ხმლით და კალმით  
და რწმენით.

1989



**ირმის ნახტომი ანუ რძიანი ბზა**

ვარსკვლავებით დასახლებულს,  
ვით წინაპართა საცხოვრისს,  
შესციცინებ –  
ირმის ნახტომს  
და დილაძდე თვალს უკოცნი,  
ვით ცად მცხოვრებ –  
შენს კოლხ გვარ-ტომს.

1957



## მზებუღობა

თეთრ ხელს გიქნევს დეკემბერი,  
ზამთრის კარში გააქვს ლელო...  
ვიღაც ყივის: “აბა უღა...”<sup>1</sup>

ეჰეი!

ვაჟა ეგრისელო!

მზებუღობის<sup>2</sup> დღე მოსულა.

2016

---

<sup>1</sup> – აბა უღა” (მეგრ) – წასვლის დროა.

<sup>2</sup> მზებუღობა (22 დეკემბერი) – ე. ი. უმოკლესი დღე და უგრძესი ღამის დღე



## გალაქტიკის სამყარო

ცეცხლივით იწვის ყველაფერი,  
სადღაც დღის და ღამის  
მიღმა,  
მთვარის და მზის ალამს  
იქით...

ჩემო,

“შენი ფსალმუნები” –  
სამყაროა გალაქტიკის.

2016



**ხილვა: კოლხეთის (ვახისის)  
აკადემია III-IV სს.**

კოლხელებს და ელინელებს  
სულ ტანჯავდნენ წარმართები,  
მაგრამ უფლის სწამდათ მუდამ,  
სწამდათ სულიერი მოძღვრის –  
ქრისტესი და  
გაუტან ბუდას.

1968



**მწიგნობრობა ჭყონდიდელის**

აიეტის ზღაპრულ კოლხეთს –  
ლამპარივით გზას უნათებს  
სიმამაცე ოდინდელი:

სიბრძნე –

ქუჯი ეგრისელის,  
რაინდობა – დადიანის,  
მწიგნობრობა – ჭყონდიდელის.

1966



## პეპასსა და ანთარესს

შენ სიცოცხლეს მაშინ იწეებ,  
როცა სხვები ამთაერებს.  
და მეუფობ პოეზიის  
ცის – შვიდივე სამთაეროს.  
არ აშორებ თვალთა ისარს  
პეპასსა და ანთარესს<sup>1</sup>.

1976

---

<sup>1</sup> ანთარესი – კაშკაშა მოწითალო ვარსკვლავი ღრიან-კალის თანავარსკვლავედში.





**შეიბნ მახვილი**

ოქროდ არის ნაჭედი  
ყველა შენი სტრიქონი,  
რომელთ ახლავს სურნელი  
გაშლილი “შირაზის ვარდის”  
და საყვირის ხმები –  
იერიქონის.

1996



## ნართები

ვარხაგი და ურუზმაგი,  
ახსარი და  
ახსარბაგი,  
ადრე “ძმები”...  
ახლა უკუღმართები...  
სამაჩაბლოს წართმევა რომ  
მოინდომა  
ნაშიერმა ნართების<sup>1</sup>.

1993

---

<sup>1</sup> ნართები – ოვს-ალანთა ეთნარქი.



**ლოდი60**

ბუმბერაზი ვაჟა მთები,  
ზღვიდან პოეტს კვლავ მიელის,  
და ოცნებას ზღვარი არ აქვს.  
მისი ფიქრი,  
ვით მთიელის –  
არ შორდება მტკვარს და  
არაგვს.

1961



## ცეზი

ამდენი ცა ზე-სამყაროს,  
ნეტავი, ვინ მისცა:  
სატურნის ცა  
და მარსის ცა,  
მერკურის ცა, ვენერას ცა,  
მთვარის ცა და მზის ცა!

1971



## ზემოღომა

სხვა ქვეყნისკენ მფრინავი –  
იხვების და ბატების  
ვიშიში და ყაყანი  
ისმის ქვეყნის ამკლები...  
და... ჩვენ აქ რაც გვაკლდება,  
იქით სხვას ემატება.

1972



**თამარის კლდე და შოთას მთა  
(რაჭული ლეგენდა)**

მთით გადმომსკდარი რიონი,  
არრად მქცვეელი ყოველის  
შფოთავს,  
ვით ადრე შფოთავდა,  
რვაასი წელი გავიდა...  
შოთას და თამარს რომ ელის,  
“თამარის კლდე და  
შოთას მთა”.

1966



\*\*\*

ცა რომ ღმერთთა სამეფოა  
და მზის ოქროს ადევს კლიტე, –  
ამ ცრურწმენას –  
ათასეულ  
წლის წინ ჰგმობდა ჰერაკლიტე.<sup>1</sup>

1962

---

<sup>1</sup> დიდი ბერძენი ფილოსოფოსი (ძვ. წ. V ს).



## ბრძენი ღიჴნოს

იჯდე ჩამქრალ კერასთან და  
ღიაცივით ძაფს ართავდე...  
(ასე ბრძანებს “ბრძენი  
ღიჴნოს”)

სანამ სხვას ცუდს დამართავდე,  
ჯობს ათასჯერ თავზე იჴნო.

1979





## ელვა წყვდიაღში

ელვამ არა,  
მაცხოვრის ხატებამ  
ცად ინათა...  
და გაბრწყინდა უეცრად –  
აქ – ურთა,  
იქ – სინას მთა.

1958



## ტანო გაცვია ვეფხისტყავე

პონტოს პირას კოლხურ ბაღში,  
კვლავ შირაზის ვარდი ყვავის,  
სხვა ფერის და  
გემოსი.  
და შენ, ჩემო, ვით მებაღეს,  
ტანო გაცვია ვეფხისტყავე,  
ვარსკვლავითი შემოსილს.

2001



## ასტროლოგიები

ლოცვის ფრთები გამოისხეს,  
“კოლხურმა ფსალმუნებმა”  
და ასტრონომს ედრები,  
სწავლობ მნათთა –  
ბუნებას,  
ასტროლოგიმეტრებით.<sup>1</sup>

1964

---

<sup>1</sup> ასტროს (ბერძ) – სინათლე, მეტრონ – ზომა.

## პარნასი

აჰა, მათა მწვერვალი,  
სადაც ერთად შეერილან,  
“ძველებიც” და “ახლებიც”.  
მეც პარნასზე მათ აღაპს,  
მაღე –  
მივეახლები.

2016



კრეზა

ჰა, კრონოსი<sup>1</sup> და ტირინთი<sup>2</sup>,  
ფესტო<sup>3</sup>,  
მიკენი<sup>4</sup> და  
ჰაგია<sup>5</sup>...  
ვინ წასული... ვინ მოსული...  
აქ, კრეტაზე<sup>6</sup> – უუძველესი –  
“კულტურაა მინოსური”<sup>7</sup>.

2000

1,2,3,4,5 – ქალაქები კრეტაზე (ძვ. წ. 3000 წ).

<sup>6</sup> კრეტა – კუნძული საბერძნეთში.

<sup>7</sup> მინოსი – კრეტის მითიური მეფე.



## შსაზღვროება

სხვა პლანეტების იქით –  
არსებობს სხვა  
კავკასიონის მთები,  
სადაც ვარსკვლავთა ჯაჭვით,  
ამირანი რომ ება.  
არსებობს სხვა გოლგოთა  
და ჯვარცმა,  
ბობოქარი ოკეანეები და ზღვები,  
სხვა მზე, სხვა დედამიწა და  
სხვა ცა...

1960



**მომავლად იქცევა წარსული**

ვით მილიარდი წლის მერე,  
მომავლად იქცევა წარსული...  
ო, ასე,  
შენს “კოლხურ ფსალმუნებს”,  
ვითარცა სამყაროს,  
არც დასაწყისი აქვს  
და... არც დასასრული...

2015



## შუა ხორბის სასაფლაო

ნაზი ჩხიკვაძის ხსოვნას

ჩაველ, ვნახე სასაფლაო,  
ჩემი სოფლის –  
შუახორგის.  
რომ ხასხასებს მწვანე მოლად –  
სული...  
სული არის ნუთუ,  
ჩემი სატრფო ნაზიბროლას –  
ქალიშვილის ბაგრატ ჩუთუს.

2015





## ვით ამფორა

აბობოქრებულ ღრუბლების ზღვაში,  
მთვარე ტივტივებს,  
ვით ამფორა,  
მესმა კი ელვით ცა გაროზა...  
შენს ციცქნა ლექსებს –  
მეტაფორა  
ყელზე კვლავ ჰკიდიათ ავგაროზად.

1958



## ოკეანე

მზე კი არა,  
ამირანის ცეცხლია,  
მწუხრისას დასაგლით რომ  
ბოლაგს:  
სხვებს რომ თოხი ეკავათ  
ოყიანი,  
მაშინ კი კოლხი აწრთობდა ფოლადს  
და სანთელს უნთებდა  
ოკეანეს<sup>1</sup>.

1963

---

<sup>1</sup> ოკეანე – არის მამა ვეველა უკვდავთა...” პომეროსი.



**მთეპი**

დღისით და ღამით შენზე  
მლოცველნი,  
ღირსნი არიან სიზმრად  
მოხილვის,  
რადგანაც შენს ღანდს ისევ  
მიელის:

ჩე გოლა,  
ურთა,  
მთა დანიელის,  
მამადავითის და მთა პოხილი.  
2001



## წმინდა ელენეს კუნძულზე

გადაშლილია უამი და სივრცე,  
მირიადი ცა რიალებს ფერთა...  
სადღაც კუნძულზე –  
წმინდა ელენეს:  
უხილავს ვხედავ,  
უსმენელს ვისმენ,  
რადგანაც, ჩემო, “უფალმა ღმერთმა  
გამიხსნა სასმენელი” (ესაია).

1983



## ბასკები და ეტრუსკები

ძველ კოლხური ცული,  
შუბი...  
დოქები და ქვევრები –  
ბაყბაყ დევის მუცლებით.  
და... მტრებს გული უსკდებათ:  
რომ ბასკები<sup>1</sup>,  
ეტრუსკები<sup>2</sup>,  
ათასწლეულების მერე,  
კოლხურად რომ უპცევენ.

1963

---

<sup>1</sup> ბასკები – ესპანეთში.

<sup>2</sup> ეტრუსკები – (ტრურია – ფლორენცია) იტალიაში.



\*\*\*

სადღაც უძრავ ვარსკვლავთა  
თოვლიანი მთებია,  
მთვარის გამოქვაბული  
თითქოს და ეხი არი.  
ბელზე მონადირენი სადაც სიკვდილს  
არ ზღვავენ!  
დამის იქით გასწიე შენ სიცოცხლის  
საზღვარი,  
და შორეულ პლანეტებს  
ჩუმად შეეხმიანე.

2017



**ნილვა: ნიუტონი, კოპერნიკი,  
ჰერშელი, სტრუვე**

ზე – სამყაროს სიყვარულით,  
          პლანეტებმა შეიტყუეს...  
და... ახლა იქ ბინადრობენ:  
ნიუტონი,  
          კოპერნიკი,  
                  ჰერშელი და  
                  ბრძენი სტრუვე.

1963



\*\*\*

დრო მოვა და პოეტები,  
საფქვავი რომ არა აქვთ და,  
მაინც გალას წისკვილს ყრიან!  
და “ახალი პოეზიის”,  
ვითომცა და ცეცხლს  
აჩაღებენ,  
ვით ღვთისმშობლის ნაქსოვ კვართზე  
ყაჩაღები.  
შენს, ძველ “კოლხურ ფსალმუნებზე”  
წილს იყრიან!!!

2017





სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ .....5

ბროწეულის ხე .....25

ხილვა: იესო ქრისტე და იოანე .....26

\*\*\* ყოფნა მეგონა ერთი არშინი .....27

წინათგობობა .....28

\*\*\* ბრმა და ბედკრულ სამყაროს .....29

დევის ნამუხლარი .....30

ხილვა: იუდეა, კესარია (I ს) .....31

\*\*\* ვარსკვლავების ბილიკებით .....32

ურთას მთა და ჩე გოლა .....33

ქუჯი .....34

აბა ულა .....35

\*\*\* ცისიერი რაც მეგონა .....36

ღამე დაღესტანში .....37

ქარიშხალი ბარენცის ზღვაში .....38

ხილვა: ანანასი და კაიაფა .....39

სიცოცხლე! – სიკვდილს ნიშნავს .....40

\*\*\* ქარიშხლისაგან არის ნაშობი .....41

ხილვა: თავადი .....42

ისევ ან მარე .....43

მახვილი .....44

ხილვა: ქალდე და ქალდეველები .....	45
ათი მნათი .....	46
კიდევ ერთი მოსახვევი დამრჩა .....	47
ხილვა: ისევ ამორძალები .....	48
2000 .....	49
*** ათასწლეულებს შემორჩენილი .....	50
ორი დღე .....	51
ხილვა: ქრისტე და ბარაბა .....	52
კვანტური მექანიკა, ფარდობითობის თეორია .....	53
პოეზია და რწმენა .....	54
კვარკები .....	55
ღალი და სპეკალი .....	56
კარიბჭე .....	57
ცისფერყანწელები .....	58
ჩე გოლა ანუ “წმინდა მთა” .....	59
ლუციფერის მიზრაფი .....	60
ანი და პოე .....	61
*** ცა მზით მორწყული და.....	62
სიცოცხლის და ცნობადის ხის .....	63
უხილავს და უსახელოს .....	64
1991-1992 .....	65
ხილვა: ბარათაშვილი და სათარა .....	66

სად განისვენოს სულმა .....	67
ხილვა: ქრისტე და ათი კეთროვანი .....	68
ახალი ათონი .....	69
იოანე დამასკელის ტროპარი .....	70
*** უამი საავდრო ღრუბლებს .....	71
საქსაულის ხე ზღვისკარად .....	72
სულის თვალი .....	73
თურმე .....	74
*** გაუვალ უღრანს ათასწლეულთა ....	75
ისე, როგორც მიქელანჯელო .....	76
ჩემი კოლხეთი .....	77
პოეზიის ძაღლყურძენა .....	78
*** ოპიზარების ნაჭედი .....	79
სიცივე და სიმარტოვე .....	80
*** ცისიერი სამყარო .....	81
შური .....	82
იგავები და ხილვები .....	83
უპონტოდ და უკოლხეთოდ.....	84
შენი გული .....	85
ბჰაგავადგიტა .....	86
*** ჰანგი შენი “ფსალმუნების” .....	87
მაკრადები .....	88
კოლხურ-იბერიული .....	89

ბეჭდამგური .....	90
მზე, მთვარე, ვარსკვლავები .....	91
სიყვარულის სიმღერა .....	92
ხილვები და იგავები .....	93
-ს .....	94
*** ვარსკვლავების ისრებს .....	95
შორი და ასტრალური .....	96
ღები .....	97
*** კოლხურ ხიდან ნაკეთები.....	98
ცრემლი .....	99
ხილულს არა, უხილავს .....	100
ოსანა .....	101
ხუ და რეა-კიბელა .....	102
აღბათ .....	103
*** მარადისი ძილით მთვრალებს .....	104
პოეტის სული .....	105
თუთარჩელა .....	106
*** არსებობ ჯვარზეცმულ მაცხოვრის	107
*** სულ მალე გაიგებს სამყარო .....	108
ხილვა: იოანე ოქროპირი .....	109
ზამთარი სვანეთში .....	110
კოსმოგონია .....	111
კოლხასა და ბაბილონს .....	112

*** საიდანღაც მოსული .....	113
ხეთი, ფუტი .....	114
ზღვა და სოფელი .....	115
ასფოდოლი .....	116
*** წარღვებიდან გადარჩენილთ .....	117
ფაზისი (კოლხეთის) აკადემია – 1800 ..	118
ხილვა: წმინდა ისაკ ასური .....	119
*** კოლხ-იბერთა ისტორია .....	120
კოლხური ოდა .....	121
კოლხეთი – VI-ე საუკუნე .....	122
ხილვა: სვიმეონ ღვთისმეტყველი .....	123
*** შორეთს მიმავალი .....	124
ხილვა: ფუთი .....	125
*** პირამიდის “ოსტატებთან” .....	126
*** პოეზიის დიდგორის ველზე .....	127
ფაზისს – ჰელიოსის ძევ .....	128
თეთრი გიორგი .....	129
საქართველო არის ცეცხლი .....	130
ხილვა: რამზეს II .....	131
“კილხა”, “კულხა”, “კოლხა” .....	132
*** დღისით თაფლის სანთელს .....	133
ხეთა .....	134
თბილისი – ფოთი .....	135

მაფია .....	136
70 .....	137
ოსია წინასწარმეტყველი .....	138
გოდების კედელი .....	139
“კილხა” (კოლხეთი) ჩვ. წ. XIII ს. ....	140
საქართველო, სამეგრელო .....	141
შენა ხარ კოლხი თეზეუსი .....	142
ცა და მიწა .....	143
ხილვა: სომეხი ღვეონდი .....	144
სქვია .....	145
პონტოს პირას დგას ჩინარი .....	146
ცაა მარადიული .....	147
*** სადღაც .....	148
ჰელიოცენტრიც .....	149
*** შევციდინებ ქართულ ცას .....	150
*** გვიან... ..	151
ისევ “გოდების კედელი” .....	152
*** მზის და მთვარის თვალება .....	153
“კულხა” “დიაუხია” .....	154
*** ცაა შენი მამული .....	155
*** შენ როდესაც დაიბადე .....	156
*** მირიადი წელია .....	157
ეკლებსა და კუროსთაგებს .....	158

*** ეოფნა სხვაა... ..	159
რიცხვები .....	160
ხმა იღუმალი .....	161
ვითარც ეკლესიასტეს .....	162
ზეციური კოლხეთი .....	163
*** სადღაც, ზღვისპირ მდგარი	
მწუხრი .....	164
ენგური .....	165
ისმენ სხვათაგან არსმენილს .....	166
*** შეხედე ცას უსაზღვროს .....	167
*** ხან წყნარი .....	168
*** ქვეყნად წამით მოსულხარ! .....	169
მზე .....	170
*** ველარ მოაცილე მიწას .....	171
ბიბლია და სახარება .....	172
არგოს .....	173
ლეთე .....	174
უფლის ღოცვა-კურთხევა .....	175
ხილვა: საყდრისი .....	176
მშვიდთა მიწა (ხმა იღუმალი) .....	177
ხილვები .....	178
ბეჭრამგური და დილარამი .....	179
ზღვაა ჩემი სამშობლო .....	180

გათენება .....	181
ჰიეროგამია .....	182
*** შენი ოქროს დღეები .....	183
*** მღვდელგებმა .....	184
მეგრულ – სვანურ – ლაზური .....	185
ხილვა: მარიამ ღვთისმშობელი .....	186
*** პოეზიის მეფესთან .....	187
სამშვილდე .....	188
*** თოვლის თეთრი სიმღერა .....	189
ხილვა: კირკე და პასიფაე .....	190
შენი მთები .....	191
ხილვა: მარდუქი და ტიამიტო .....	192
პოეზიის პოეზია .....	193
ხილვა: “ფილოკალია” .....	194
აღგებრული და მათემატიკური .....	195
ნუკას საყდარი .....	196
აღდგომის კუნძულზე .....	197
ხილვა: ანტონ დიდის “სწავლანი” .....	198
ორი გასაღები .....	199
კირკე, ნანა, რეა-კიბელა (ვარიანტი) .....	200
სასაფლაო .....	201
გუბაზს, ცოტნესა და წათეს .....	202
მზე და პლუტონი .....	203



გაზაფხული მთაში .....	204
მზე.....	205
ქეთევან დედოფალი .....	206
ანთროპოგეოცენტრული .....	207
ხილვა: კოლხეთი III-IV სს. ....	208
ღტოლვა .....	209
საქართველო .....	210
ირმის ნახტომი ანუ რძიანი გზა .....	211
მზებუდობა .....	212
გალაქტიკის სამყარო .....	213
ხილვა: კოლხეთის (ფაზისის) აკადემია	214
მწიგნობრობა ჭყონდიდელის .....	215
პეგასსა და ანთარესს .....	216
შეიბნ მახვილი .....	217
ნართები .....	218
ლოდინი .....	219
ცები .....	220
შემოდგომა .....	221
თამარის კლდე და შოთას მთა .....	222
*** ცა რომ ღმერთთა სამეფოა .....	223
ბრძენი დივნოს .....	224
ელვა წყვილიაღში .....	225
ტანთ გაცვია ვეფხისტყავი .....	226

ასტროფოტომეტრები .....	227
პარნასი .....	228
კრეტა .....	229
უსაზღვროება .....	230
მომავლად იქცევა წარსული .....	231
შუა ხორგის სასაფლაო .....	232
ვით ამჰჰორა .....	233
ოკეანე .....	234
მთები .....	235
წმინდა ელენეს კუნძულზე .....	236
ბასკები და ეტრუსკები .....	237
*** სადღაც უძრავ ვარსკვლავთა .....	238
ხილვა: ნიუტონი, კოპერნიკი, ჰერშელი, სტრუვე .....	239
*** დრო მოვა და პოეტები .....	240



ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად  
ტომი 49

VAZHA EGRISELI  
“KOLKHURI PHSALMUNEBI”  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 49

გამომცემლობის  
რედაქტორი – ზვიად გვალია  
მხატვარი – სპარტაკ ცინცაძე  
მხატვრული რედაქტორი – ირაკლი უშვერიძე  
ტექნიკური რედაქტორი – ნანა ღუმბაძე  
კორექტორი – ნანა გეჭაძე  
კომპიუტერული  
უზრუნველყოფა – ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – ნუგზარ გვალია

ფასი 20 ლარი

თბილისი  
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com